ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

25 აპრილიდან
„ახალი თაობა"
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 2
ჩეხური ზღაპრები
6 ლარი




პარასკევი, 26 აპრილი, 2013 | №98 (6099) | ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალების გადარჩენა უსუფაშვილის ინტერესებშია



ირინა სარიშვილი: „რესპუბლიკელები კიდევ ბევრ შოკისმომგვრელ განცხადებას გააკეთებენ" გვ.5



ანი ნადარეიშვილი: „ბაჩო და დათა ახალაიები „ქართულ ოცნებასთან" არ ითანამშრომლებენ" გვ.3



ელიზბარ ჯაველიძე: „აჭარა საქართველოს, ფაქტობრივად, აღარ ეკუთვნის" გვ.3



მთავრობა საბჭოთა ანაბრების დაბრუნებას გეგმავს გვ.6



ჩატარდება თუ არა 26 მაისს სამხედრო აღლუმი, ჯერ უცნობია გვ.6

შსს აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე" ჩაერთო გვ.4





გურამ ვახტანგაშვილი აგვისტოს ომის გამოძიებას ითხოვს გვ.2



კოტე კუბლაშვილი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილება გვ.6

## მესტიაში დიდი რაოდენობით უკანონო იარაღი ამოიღეს



სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, უკანონო იარაღი ამოიღეს.

როგორც „ნიუსპრესს" შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, სამართალდამცველებმა მესტიის რაიონის სოფელ ნაკრაში, აძა გ-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, „ა-კა-ეს"-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, კარაბინი, მცირეკალიბრიანი შაშხანა, „ეფ-1"-ის ტიპის ხელყუმბარა, 4 მჭიდი და 60 სხვადასხვა დასახელების ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს და მას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

17 აპრილიდან!
„ახალი თაობა"
+
ლეონარდო და ვინჩი
8 ლარი




ISSN 1987-9385

2 პატრიარქი ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს შეხვდა

5 ზაზა გაბუნია: „თბილისის მერია მოსახლეობის მოსყიდვას ცდილობს"

4 შსს-მ ყაჩაღური დაჯგუფება ცხელ კვალზე დააკავა

2 პატიმართა წამების ბრალდებით პროკურატურამ ორი პირი დააკავა

# გურამ ვახტანგაშვილი აგვისტოს ომის გამოძიებას ითხოვს

გულიკო ბალაძე

ლიახვის ხეობის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატ გურამ ვახტანგაშვილს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით მთელი რიგი კითხვები აქვს. ამასთანავე, ყოფილი დეპუტატი ამ ეტაპზე გარკვეულ სკანდალურ განცხადებებსაც აკეთებს და ხელისუფლებას 2008 წელს ცხინვალის რეგიონში გარკვეულ პროვოკაციულ ქმედებებში ადანაშაულებს. ამჯერად გთავაზობთ გურამ ვახტანგაშვილის შეკითხვებისა და განცხადებების ერთ ნაწილს.

***— ბატონო გურამ, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით გამოძიება იწყება. როგორ ფიქრობთ, რა კუთხით უნდა დაიწყოს ძიება?***

— გამოძიება უნდა დაიწყოს მომხდარი დანაშაულების, არასწორი გადაწყვეტილებების, იმ არასწორი მოქმედებების თაობაზე, რამაც მიგვიყვანა 2008 წლის 8 აგვისტოსა და ტერიტორიების დაკარგვამდე. როგორც ხეობის მკვიდრი და 1990 წლიდან ცხინვალის პროცესებში ჩართული (მთელი ამ პროცესების დროს მთლიანად იქ ვიყავი. ყოველდღე და ყოველ კვირას რა ხდებოდა, საქმის კურსში ვიყავი), მინდა გავაკეთო განცხადება, რომ ომი დაიწყო არა 2008 წელს, არამედ 1990 წელს რუსეთმა. ომი მიმდინარეობდა 20 წლის განმავლობაში – 1-2 თვე ჩერდებოდა, ისევ გრძელდებოდა. მთელმა მოსახლეობამ 20 წელი თოფებით შეინახა ხეობა, ხოლო ჩვენმა გაწვრთნილმა და სანაქებო ჯარმა კი დღე-ნახევარიც ვერ გაუძლო რუსების შემოტევას. მინდა დავაფიქსირო ასევე, რომ ჯარი, ტანკები და არტილერია რუსებსა და ოსებს იმდენი ჰქონდათ ჯავის რაიონში, სოფელი და ტყე არ იყო სამყოფი დასამალად. 7 და 8 აგვისტოს როკის გვირაბით რუსეთის დამატებითი ნაწილები შემოვიდა. ჯარი რამდენიმე წლით ადრე იყო შემოსული.

***— ანუ ჯერ ადრე შემოყვანილი ნაწილების პარტიზანული განადგურება იყო საჭირო.***

— დიახ. გაიხსენონ, რამდენიმე თვით ადრე კაზაკებისა და ჩეჩნების ბატალიონი იყო შემოსული ჯავის რაიონში, სადაც კოკოითი ჩანდა, ახალი ტიპის იარაღს როგორ ამოწმებდა კაზაკებთან ერთად.

***— მახსოვს, წვრთნები რომ მიმდინარეობდა და ჯარი შემოსული იყო. რა ღონისძიებები უნდა გაეტარებინა ხელისუფლებას? ხელისუფლებამ ადეკვატური ზომები მიიღო?***

— არავითარი ადეკვატური ზომები ხელისუფლებას არ მიუღია. იმის მაგივრად, რომ ჩვენები პროვოკაციაში არ შესულიყვნენ ოსებთან, ხშირ შემთხვევაში ჩვენი მხარეც ამზადებდა პროვოკაციებს.

***— რას გულისხმობთ?***

— თუ გაიხსენებთ ივლისის თვეს, ივლისში გაუგებარ ვითარებაში რამდენიმე ოსი გარდაიცვალა. სოფელ დმენისის პოლიციის უფროსი აფეთქდა დილით თავის სახლში, რამდენიმე ოსი მდინარეზე იპოვეს მოკლული. ე.ი. არ არის გამორიცხული, რომ ამ პროვოკაციას ჩვენებიც უწყობდნენ ხელს.



***— თქვენ ახლა ისეთ განცხადებას აკეთებთ, რომ 80%-ით მაინც უნდა იყოთ დარწმუნებული.***

— 80%-ით კი არა, 100%-ით ვარ დარწმუნებული, რომ იმდროინდელ ინფორმაციებს თუ გავაანალიზებთ, ეს ცნობები ყველა საინფორმაციო საშუალებით, ტელევიზიითაც გადაიცემოდა.

***— თქვენ თქვით, შესაძლებელია, ჩვენი მხარეც იყო ჩართული პროვოკაციებშიო. ასე როგორ იქნება?***

— შესაძლებელია, პროვოკაციების ალკვეთის მაგივრად, ჩვენებიც ამზადებდნენ პროვოკაციას. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რუს სამშვიდობოებთან მოლაპარაკებულები იყვნენ, რომ რუსი სამშვიდობოები არ ჩაერეოდნენ, ჩვენი საჯარისო ნაწილების შესვლას ხელს არ შეუშლიდნენ. იმის ფაქტებიც მაქვს, რომ 7 და 8 აგვისტოს რუსმა სამშვიდობოებმა შლაგბაუმები ახსნეს და ჩვენი საჯარისო ნაწილები შეუშვეს როგორც ერგნეთის, ისე სოფელ დმენისისა და ცხინვალის მიმართულებით. ამიტომ რუსები არწმუნებდნენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ სამშვიდობოები არ ჩაერეოდნენ კონფლიქტში, პროვოკაციაში რომ ჩაეთრიათ. ამის ინფორმაცია მე მაქვს და ყველანაირად შემიძლია დავამტკიცო მოწმეებით – ჯარისკაცები, რომლებმაც გაიარეს და რუსებიც სთხოვეს და ჩვენებმა სიგარეტიც მოაწევინეს, აბსოლუტურად არანაირად არ შეუშალეს ხელი, ისე შეუშვეს ცხინვალში.

***— ბატონო გურამ, თქვენ ბრძანეთ, ოსი პოლიციელი დაიღუპა და ოსები მდინარეზე იპოვეს გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილებიო, თან საუბრობთ ქართული მხრიდან პროვოკაციაში მონაწილეობაზე, ანუ შესაძლებელია, ეს ფაქტები ჩადენილი ყოფილიყო ქართველების მიერ თუ რას გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ იმას, რომ ოსები თვითონ ხომ არ მოიმოქმედებდნენ, შესაძლებელია...

***— ხომ შეიძლება, შიგნით კონფლიქტი ჰქონოდათ ვიღაცასთან და მათ მოეკლათ?***

— დაახლოებით 8 ფაქტი მოხდა ასეთი ივნის-ივლისში, რომ რამდენიმე ოსი იქნა მოკლული, პოლიციის უფროსი აფეთქებული, შემოვლით გზაზე აფეთქებები ხდებოდა და ა.შ. ამიტომ სრულებითაც არ გამოვრიცხავ, ჩვენებიც უწყობდნენ ამ პროვოკაციას ხელს რუსებთან შეთანხმებით, თითქოს რუსები არ ჩაერეოდნენ და ჩვენს საჯარისო ნაწილებს მისცემდნენ საშუალებას, შესულიყვნენ და სეპარატისტული დაჯგუფებები და შეიარაღებული ნაწილები განეიარაღებინათ.

***— ანუ ბრალად ჩვენს მხარეს სდებთ პოლიციის უფროსის აფეთქებას?***

— ბრალად იმას ვდებ, რომ გამოძიება როცა დაიწყება, ზუსტად გაირკვევა, პროვოკაციებს ვინ აწყობდა. ერთი თვის განმავლობაში რომ 8 ოსი გარდაიცვალა და აფეთქებები ხდებოდა, ხომ არ იყვნენ ჩვენებიც ჩარეული, ხომ მაქვს იმის უფლება, რომ მაშინ მომხდარი ფაქტების გამოძიება და ამის გარკვევა მოვითხოვო.

***— ხომ შეიძლება, კონფლიქტის გასაღვივებლად მსგავსი ფაქტები რუსებს, რუსულ სპეცსამსახურებს ჩაედინათ?***

— გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ, შეიძლება, რუსებს გაეკეთებინათ, მაგრამ, ხომ მაქვს იმის უფლება, საკითხი დავსვა, რატომ დაემთხვა ერთ თვეში ამდენი ფაქტი ერთმანეთს. გამოძიება ზუსტად დაადგენს. მე მგონი, ამ გამოძიებას ცხინვალელი ოსებიც, სეპარატისტებიც ხელს შეუწყობენ და ვისი დაკითხვაც საჭიროა, გამოძიება დაკითხავს. ამ ომთან დაკავშირებით მე ბევრი შეკითხვა მაქვს. ზოგიერთს ახლა გავახმაურებ, ზოგს კი – შემდგომში.

***— მაინც კიდევ რა კითხვები გაქვთ?***

— მე, როგორც იქაური ადამიანი, რომელსაც ძალიან შემტკივა გული ჩემს ხეობაზე, 20 წელი ომსა და უბედურებაში ვიყავი და ყველა უბედურებამ ჩემს თავზე გადაიარა (დღეს ყველა ექსპერტი რომ გახდა და ზოგი ამბობს, გამოვიძიოთ, ზოგი ამბობს, არ გამოვიძიოთო), მე ვაცხადებ, რომ უნდა გამოვიძიოთ. რამდენიმე გვარს დავასახელებ, ვინც იმდროინდელ მოვლენებზე უფრო რეალურ სწორ ექსპერტულ ანალიზს აკეთებს. ესენი არიან ირაკლი მაჭავარიანი, შერეული საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე რომ იყო (მის დროს აღნიშნული კომისია კარგად ფუნქციონირებდა. ოსებსა და ქართველებს შორის შერიგება თითქმის გარდაუვალი გახლდათ. ცხინვალში თავისუფლად მიმოვდიოდით). მაჭავარიანის შემდეგ იყვნენ გიორგი ვოლსკი და გოგა ხაინდრავა. მათი მონაწილეობით ქართულ-ოსური მოლაპარაკებები და ყველაფერი რეალურად და ძალიან კარგ დონეზე მიმდინარეობდა. ასევე რეალურ ექსპერტულ შეფასებებს აკეთებს მამუკა არეშიძე. დანარჩენი მე არც ერთი ექსპერტიზის არ მჯერა. ყველა ექსპერტს შემიძლია დავუჯდე, გინდ ტელევიზიით, გინდ გაზეთით და დავუმტკიცო ის სიმართლე, რასაც მე ვაცხადებ და მათი მოსაზრებების უმართებულობა. მე ამ ომთან დაკავშირებით მაქვს ძალიან ბევრი შეკითხვა. ამდენი ხანი გაჩუმებული ვიყავი. გამოძიება თუ დაიწყო, ასეთ შეკითხვას დავუსვამ ყოფილ ხელისუფლებას – რატომ არ გააფრთხილეს ადგილობრივი მოსახლეობა და რატომ არ მოხდა მათი ევაკუაცია კონფლიქტის ზონიდან? რომ მომხდარიყო ევაკუაცია, არც ერთი ადგილობრივი მოსახლე, მოხუცი და ახალგაზრდა ამ ომში არ დაიღუპებოდა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მოსახლეობა არ გააფრთხილეს, რომ უნდოდათ, მსხვერპლი დიდი ყოფილიყო, მსოფლიოსთვის გვემცნო და აგვეტეხა განგაში? მე ასეთი აზრი მაქვს. რატომ არ გააფრთხილეს?

***— შემდეგი კითხვა?***

— რამდენიმე კითხვა მაქვს. სამშვიდობოებზე გითხარით, რომ უპრობლემოდ შეუშვეს ჩვენი საჯარისო ნაწილები ცხინვალში. ჩვენები ხომ არ იყვნენ ამ დროს მოტყუებულები რუსებისაგან? მას შემდეგ მაინტერესებს და მოვითხოვ, დაიკითხოს გენერალი ყურაშვილი, კულახმეტოვთან რა მოლაპარაკებები ჰქონდა და რატომ არ გასწია წინააღმდეგობა რუსმა, რატომ აიღო შლაგბაუმები და რატომ შეუშვა ჩვენი საჯარისო ნაწილები ცხინვალის მიმართულებით? ხომ არ წამოაგეს ჩვენები პროვოკაციაზე.

***— რეინტეგრაციის მინისტრი რომ იყო თემურ იაკობაშვილი და მოლაპარაკებებს აწარმოებდა ოსებთან, ამასთან დაკავშირებით არ გაქვთ კითხვა?***

— თემურ იაკობაშვილმა სულ აურია საქმე პირველი დღიდანვე. ეგეც მაინტერესებს. გვახსოვს მისი სიტყვები და პროვოკაციული გამოხდომები. ამაზეც მინდა დავსვა კითხვა, რეინტეგრაციის მინისტრ თემურ იაკობაშვილის მხრიდანაც ხომ არ კეთდებოდა პროვოკაციული განცხადებები, რომ უფრო მეტად დაეძაბათ ცხინვალში სიტუაცია და საქმე საომარ მოქმედებებამდე მისულიყო.

***— თემურ იაკობაშვილი ცხინვალში მოლაპარაკებებზე ხომ შევიდა და უარით გამოისტუმრეს?***

— იაკობაშვილი ცხინვალში ბოლო დღეს, 6 თუ 7 აგვისტოს შევიდა. მანამ თვეობით იყო დაძაბული მდგომარეობა და ხომ შეიძლებოდა, პროვოკაციული განცხადებები არ ეკეთებინა და ოსურ და რუსულ მხარესთან ნორმალური მოლაპარაკებები ეწარმოებინა? ეს შეკითხვა ხომ შეიძლება დაისვას? მინდა დაიწყოს ომში დამარცხების მიზეზების გამოძიება. მე 11 აგვისტოს გამოვედი ხეობიდან. 7, 8, 9, 10 აგვისტოს სულ ხეობაში ვიყავი. შეკითხვა მაქვს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბთან. 300-კაციანი ნაწილი შემოვიდა კონფლიქტის ზონაში, ერედვში – 8 აგვისტოს, კბილებამდე შეიარაღებული, რომელსაც ერთი ცნობილი გენერალი ხელმძღვანელობდა. გამოძიება თუ იქნება, იციან, ერედვის მიმართულებით შემოსულ საჯარისო ნაწილებს ვინ ხელმძღვანელობდა, მინდა ჰკითხონ.

***— რა გვარია გენერალი?***

— გვარს არ გეტყვით. ერთი გენერალი შემოვიდა ორ ძალიან მაღალ თანამდებობის პირთან ერთად, რომლებსაც ყოველ გამოსვლაზე პრეზიდენტი გმირებად აცხადებს.

***— უგულავაზე ამბობთ?***

— არა, უგულავა არა. ერთი გენერალი იყო და ორი მაღალჩინოსანი. თუ დაინტერესდებიან, მათ გვარებსაც ვიტყვი.

***— მეც ძალიან მაინტერესებს და გვითხარით, ვინ იყვნენ?***

— 300 ჯარისკაცთან ერთად შემოვიდნენ 8 აგვისტოს. ოსურ სოფელ დმენისში უნდოდათ შესვლა. მეუბნებიან, როტაცია უნდა გავაკეთოთ, წუხელ ჩვენი ნაწილები აკონტროლებდნენ ამ სოფელს, ის ხალხი უნდა გამოვიყვანოთ და ჩვენ უნდა შევიდეთო, როცა ის სოფელი ერთი წუთითაც არ გაგვიკონტროლებია და ყველანაირი ბლოკპოსტები ოსებს ეჭირათ. რომ ვუთხარი, ახლა ამ ადგილზე თვითმფრინავები ბომბებს ჩამოყრიან-მეთქი, ისე შეშინდნენ ეს გენერალი და მაღალჩინოსნები, თავიანთი ჯიპები მიატოვეს, ჩემს მანქანაში ჩასხდნენ და გამოვიყვანე სოფლის ბოლოს სამშვიდობოს. რამდენიმე წუთის შემდეგ ზუსტად იმ ადგილზე ჩამოვარდა, სადაც გამოყვანამდე იდგნენ და მათ მიერ ერთი პიკაპით მოყვანილი 8 ჯარისკაცი გარდაიცვალა.

***— გენერალი და მაღალჩინოსნები გამოიქცნენ და ჯარისკაცები მიატოვეს?***

— ჯარისკაცები მიატოვეს. გენერალი და მაღალჩინოსნები ჩემს მანქანაში ჩასხდნენ და გამოვიყვანე. იმ ადგილზე, სადაც ბომბი ჩამოვარდა, გაიხადეს ჯავშანჟილეტები, იარაღი დაყარეს და გორისკენ გამოიქცნენ ფეხით. ეს ხდება 8 აგვისტოს, საღამოს. 8 აგვისტოს გვიან ღამემდე არც ერთი საჯარისო ნაწილი და არც ერთი ჯარისკაცი აღარ იყო. ვერც ერთ ოფიცერს ვერ იპოვიდი. ტყვიაწამლით დატვირთული ტექნიკა შემოვიდა. ჩვენ იმის გვეშინოდა, რომ იბომბებოდა, ტყვიაწამლით დატვირთული მანქანები არ აფეთქებულიყო.

## პატიმართა წამების ბრალდებით პროკურატურამ ორი პირი დააკავა

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ, პატიმრების მიმართ განხორციელებული ცემა-წამების ბრალდებით, რუსთავის მე-16 სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი ინსპექტორები დააკავა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, თემურ ყორშიას და გიორგი ჯღარკავას ბრალად პატიმრების ცემა-წამება და დამცირება ედებათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ მსჯავრდებულთა დათრგუნვისა და დემორალიზების მიზნით, თემურ ყორშიას და გიორგი ჯღარკავას მიერ, ამავე დაწესებულების ყოფილი თანამშრომლების დავით მუმლაძის, ვაჟა ცხვედიანის და იონა ლუტიძის ხელმძღვანელობით, ხდებოდა პატიმართა ე.წ კორიდორში გატარება. პატიმრებს აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, აშიშვლებდნენ, აკეთებინებდნენ ბუქნებს, აყენებდნენ მუხლებზე, ამცირებდნენ და აიძულებდნენ ერბინათ დაწესებულების ტერიტორიაზე. ყორშიას და ჯღარკავას ბრალი სსკ-ს 144-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა", „ბ", „დ", „ე" და „ზ" ქვეპუნქტებით წარედგინათ.

მათთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე რუსთავის საქალაქო სასამართლო იმსჯელებს.

ნიუსპრესი

## პატრიარქი ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე ყოვლადწმინდა სამების ახალგაზრდულ ცენტრში, ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს შეხვდა. მან ახალგაზრდები დალოცა და მათ სიტყვით მიმართა. უწმინდესმა ყურადღება უფროს თაობასთან ურთიერთობას დაუთმო. მისი თქმით, დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან რთულ დროში, როცა მივედით თითქმის უფსკრულთან, რასაც მოგვაცილა უფალმა და იმედი მოგვცა.

„ჩვენი ახალაგზრდობა ბრძენია და უფრო ღრმად შეხედავთ ამ პრობლემებს, რომლის წინაშეც ვდგავართ. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებები დასაშვებია, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს უკან ჩვენი ერი, ჩვენი სამშობლოა. ნამდვილად ისტორიული დღეა, რომ ახალგაზრდა ადამიანების მიერ დაარსდა პარლამენტი", – ბრძანა უწმინდესმა და ახალგაზრდებს შეახსენა, რომ ეს მათთვის არა მარტო დიდი პატივი, არამედ დიდი პასუხისმგებლობაც არის ღვთისა და ერის წინაშე.

პატრიარქმა ურჩია ახალგაზრდებს, რომ ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, რადგან ქართველების ყველაზე დიდი ნაკლი არის ის, რომ სხვას არ ვუსმენთ და ჩვენი ნათქვამი ერთადერთ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია.

„კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, იქონიეთ კავშირი უფროს თაობასთან. ახალგაზრდა თაობა ხშირად აკრიტიკებს მშობლებს, ახლობლებს, ხელისუფლებას, მაგრამ როდესაც თვითონ იწყებს ცხოვრებას, ამ რთული გზის გავლას, თვითონვე ხდება ისეთი, როგორც მისი მშობლები და უფროსი თაობა იყო, თავად ხდება მედროვე", – აღნიშნა პატრიარქმა და მოუწოდა ახალგაზრდებს, რომ ამასთან დაკავშირებით ფრთხილად იყვნენ. ილია მეორემ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბოლო დროს პოლიტიკური პარტიები იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ საქართველო დაავიწყდათ.

„ხშირი შემთხვევაა, რომ ადამიანი, სახელმწიფო ხშირად გადადგამს უკან ნაბიჯს, მაგრამ სულ უკან სვლა დაუშვებელია, ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, ეს არის ღვთის ნება. მაცხოვარი ჩვენი ამბობს: „იყავით სრულყოფილი, ვითარცა მამა თქვენი სრულყოფილ არს", ეს არის მითითება იმაზე, ადამიანი ვერასდროს გახდება ისეთი, როგორც მამაზეციერია, მაგრამ სრულყოფა დაუსრულებელია ორთავ სოფელსა შინა", – ბრძანა უწმინდესმა და მოუწოდა ახალგაზრდებს, ჰქონდეთ უფრო მტკიცე სარწმუნოება. პატრიარქმა ახალგაზრდა პარლამენტარებს საჩუქრად მაცხოვრის ხატი და ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მედალიონები გადასცა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ელიზბარ ჯაველიძე: „აჭარა საქართველოს, ფაქტობრივად, აღარ ეკუთვნის“

## რა რჩევას აძლევს აკადემიკოსი ბიძინა ივანიშვილს

შორენა მარსაგიშვილი

**თურქული მედია ბოლო ხანებში აქტიურად წერს აჭარაზე. რიგი მედია-საშუალებები აჭარას თურქეთის ნაწილად მოიხსენიებენ. ეს ამბავი აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძისთვის სიახლე არ გახლავთ. მისი თქმით, თურქული ტელევიზიები ამინდის გამოცხადების დროს ბათუმს, როგორც თურქეთის ნაწილს, ისე მოიხსენიებენ.**

რა განცხადებები გააკეთა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რატომ არის საშიში საქართველოსთვის რაბათის ციხე და აზიზიეს მეჩეთი, რა უნდა გაითვალისწინოს ბიძინა ივანიშვილმა და რატომ ითხოვენ საქართველოში მარიხუანას დეკრიმინალიზაციას, ამ თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– ბატონო ელიზბარ, ბოლო დროს ახალგაზრდობა აქტიურად ითხოვს მარიხუანას დეკრიმინალიზაციას. თქვენი აზრით, რას უკავშირდება ეს?***

– მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ მომავლის პერსპექტივა დაკარგა. ბავშვებს ცუდად ზრდიან და ყველაფრის ინტერესს უკლავენ. ეს ყველაფერი იწყება სკოლიდან. მოგეხსენებათ, ახლა რა ამბები აქვთ ატეხილი წიგნების გამომცემლებს და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს. მათ მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნები არის უგემოვნო. არ გამოვრიცხავ, რომ ეს წიგნები შეგნებულად იყოს ასე შედგენილი, რათა ბავშვებს ჩაუხშონ ლიტერატურული გემოვნება და მამულის სიყვარული. ბავშვებმა დაკარგეს წიგნის სიყვარული. ტელევიზორში უაზრო სერიალები გადის. ახალგაზრდებს სამსახურის შოვნის პერსპექტივა არა აქვთ. ამიტომაც მიეძალა ახალგაზრდობა იმას, რაც ჩემს ახალგაზრდობაში დიდი იშვიათობა იყო. მთელ სოლოლაკში 2 მორფინისტი იყო. მათ ბავშვები დავდევდით და, როგორც დიდი იშვიათობას, ისე ვუყურებდით. დღეს ვაჟკაცად თვლიან მორფინისტებს. ესეც შეგნებულად კეთდება. გაიგეთ, ხალხო, რომ ქართველი ხალხის გენოციდი მიმდინარეობს. გენოციდი რომ განხორციელდეს, უნდა მოხდეს ახალგაზრდობის გადაგვარება. ეს პროცესი, სამწუხაროდ, უკვე დაწყებულია. მარიხუანას თუ რაღაც ჯანდაბის დეკრიმინალიზაციაც აქეთკენ არის მიმართული.

***– აშკარაა, რომ თქვენ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგი ხართ.***

***– ეს რომ ჰუმანურ მიზანს ემსახურებოდეს, ხმას არ ამოვიღებდი. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ბინძურ გეგმასთან არის დაკავშირებული. ნარკოტიკების უკან, ერთი მხრივ, დიდი ფული დგას და, მეორე მხრივ, დეკრიმინალიზაცია მავანთა ავ ინტერესებშია.***

***– მოდით, ახლა აჭარის თურქეთიზაციაზე ვისაუბროთ. ამ თემაზე თქვენ არაერთხელ გააკეთეთ სკანდალური განცხადება, ამბობდით, თურქეთი აჭარას ისევ თავის ნაწილად თვლისო. ამაზე რეაქცია არავის ჰქონდა. სამაგიეროდ, ახლა ატყდა განგაში. თურქულმა მედიამ გამოაქვეყნა მასალები, სადაც აჭარა, როგორც თურქეთის ნაწილი, ისეა მოხსენიებული.***

– განგაში ატეხა ხალხმა. ხელისუფლება, სამწუხაროდ, ისევ დუმს. არადა, ვითარება საგანგაშოა. საქართველოში ვიზიტად მყოფმა ახმედ დავით-ოღლუმ პირდაპირ თქვა: 100-110 წლის წინ ბათუმი და დამასკო თურქეთის იყოო, ისიც დაამატა, ჩვენ არ ვაპირებთ იარაღით ქვეყნების დაპყრობას, მაგრამ ეკონომიკურად ყველანაირად ვეცდებით ძველი ტერიტორიების დაბრუნებასო. აქამდე თურქები მინიშნებებით გვეუბნებოდნენ, აჭარა ჩვენიაო, ახლა კი პირდაპირ აცხადებენ.

***– საქართველოს ხელისუფლება ასეთ განცხადებებზე რატომ არ ახდენს რეაგირებას?***

– ვერ გეტყვით, ეს ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ. იმის მაგივრად, რომ ამ განცხადებაზე მოეხდინათ რეაგირება, რაბათის ციხეზე დამიწყეს კამათი. გამალებული ამტკიცებენ, რა ფერის უნდა იყოს რაბათის კომპლექსში შემავალი ნაგებობების სახურავები. რაბათის, როგორც ისტორიული ძეგლის აღდგენა გახლავთ დიდი დანაშაული და უბედურება.

***– რატომ, ბატონო ელიზბარ?***

– სპარსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირება ოსმალეთის გამარჯვებით დასრულდა. მათ ჩილდირის ველზე დაამარცხეს სპარსეთი, რის შემდეგაც დაიძრნენ საქართველოსკენ და აიღეს თბილისი. მათ წინააღმდეგ რამდენიმე სერიოზული ბრძოლები გამართეს ქართველებმა. ოსმალეები მიხვდნენ, რომ საქართველო ასეთი იოლი დასამორჩილებელი არ იქნებოდა. ამის შემდეგ ოსმალეთმა გააუქმა ახალციხის საფაშო და დაანგრია იქ მდგარი ლომისის ციხე. ახალციხეში დააფუძნეს ჩილდირის საფაშო. იმავე პერიოდში აშენდა რაბათის ციხე, როგორც ოსმალეთის იმპერიის სიძლიერის სიმბოლო. ამ ციხით ოსმალები მსოფლიოს ამცნობდნენ, რომ საქართველო არის მათი. რაბათი ითარგმნება, როგორც ქარვასლა, სასტუმრო. იქ, რა თქმა უნდა, იქნებოდა სასტუმროც. მაგრამ მთავარი იყო ციხის აშენება. ამიტომაც დაერქვა იქაურობას ახალციხე. ამ ციხის ამ სახით აღდგენა არ შეიძლებოდა.



***– ციხის აღმდგენლები ამბობდნენ რომ რაბათის ციხე უამრავ ტურისტს მიიზიდავდა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მოგებას მოუტანდა.***

– მაგას ჩვენი სოლომონ ბრძენი ვანო მერაბიშვილი გვეუბნებოდა. ის ამტკიცებდა, ახალციხესა და სამცხე-საათაბაგოში სოფლის მეურნეობა მოიკოჭლებს და ტურიზმია ერთადერთი შველაო. თუ ტურისტების მოზიდვა გვინდოდა და ამისთვის მილიონებს არ დავზოგავდით, არ ჯობდა, ვარძიისთვის მოგვევლო? ეს უნიკალური კომპლექსი ინგრევა. არადა, ის ყოველთვის იზიდავდა ტურისტებს. ამის გარდა, საკვირველია, ბრძენმა კაცმა, მერაბიშვილმა, როგორ არ იცის, რა უხვმოსავლიანია სამცხე-საათაბაგო. აქ მოდიოდა ხილი, ბოსტნეული და ხორბალი. აქ მოსული პროდუქცია ამარაგებდა არა მარტო საქართველოს, არამედ ქვეყნის მიღმაც გადიოდა. ამიტომაც რაბათის ციხის აღდგენის აუცილებლობა არ იყო. ის ბევრ ცუდ მოგონებას ინახავს. თურქული ელემენტების წინ წამოწევამ შესაძლოა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს. ისედაც დაქუცმაცების წინაშე დგას საქართველო. ამის საფრთხეს ბოლო დროს აგორებული თემები კიდევ უფრო ამწვავებს.

***– მესხეთელი თურქების დაბრუნება გაქვთ მხედველობაში?***

– მარტო ეგ საკითხი არა. ახლა აქტიურად საუბრობენ რეგიონული ენების შემოღების აუცილებლობაზე. სამწუხარო ისაა, რომ ეს თემა ახალმა ხელისუფლებამ წამოსწია.

***– ვალდებულება ნაციონალებმა აიღეს.***

– კი ბატონო, მათ აიღეს, მაგრამ ის ქარტია სულაც არ გვავალდებულებს რეგიონული ენების შემოღებას. ამას თუ გავაკეთებთ, ჩათვალეთ, რომ საქართველო აღარ იარსებებს. ჯერ სომხური გამოცხადდება რეგიონულ ენად, მერე აზერბაიჯანული, ვიღაცები მეგრულისა და სვანურისთვისაც მოითხოვენ ამ სტატუსის მინიჭებას. ამ მიმართულებით მავანი უკვე აქტიურად მუშაობს. ამის გაკეთება თავის დროზე რუსებს სურდათ. ეს ყველაფერი ჯდება იმ გეგმაში, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა. მასონი ჯალათების შედგენილი გეგმის თანახმად, საქართველო 7 ნაწილად უნდა დაიშალოს. ამ უბედურებას მოჰყვება მესხეთელი თურქების ჩამოსახლება. საქართველოში, მოგეხსენებათ, უამრავი უცხოტომელი ყიდულებს მიწას. აქაურობა აივსო ირანელებით, თურქებით, ჩინელებითა და ინდოელებით. ისინი საქართველოში მიწებს ყიდულობენ, ამ დროს კი ქართველი გლეხი უმიწოდ რჩება. დავიჯერო, ამას ახალი ხელისუფლება და ბიძინა ივანიშვილი ვერ ხედავენ? ეს ხომ ქვეყნის დანგრევა და დაშლაა. ეს დაშლა დაიწყო სააკაშვილმა. მისი დიქტატორობა კი არ მაშინებდა, არამედ მაშინებდა ის, რომ ის ქვეყანას ანგრევდა, ებრძოდა ეროვნულ ცნობიერებასა და ზნეობას. საშინელი ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ოჯახსა და მართლმადიდებლობას, არადა, სწორედ ამ ორ ინსტიტუტზე დგას ჩვენი სახელმწიფოებრიობა. მსოფლიოში დღეს ძალიან ცოტაა უძველესი ერები. მათ შორის ვართ ქართველები და სომხები. სომხები თავიანთ ეროვნულობას ინარჩუნებენ, ქართველები კი ჩვენი ხელით ვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ჩვენი ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობაა დაფუძნებული. ამიტომ მიშლის ნერვებს ის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ რა მოხდა, თუკი რაბათი აღდგა. ამის გაკეთება ისევე არ შეიძლებოდა, როგორც აჭარაში არ შეიძლება აზიზიეს მეჩეთის აშენება.

***– ვიღაცები ამბობენ, რომ აჭარაში კიდევ ერთი მეჩეთის აშენება არაფერს შეცვლის.***

– აზიზიეს მეჩეთი არ გახლავთ ერთი რიგითი მეჩეთი. ეს მეჩეთი არ უნდა აშენდეს. თურქები ამ მეჩეთზე დიდ იმედებს ამყარებენ. აზიზიეს აშენების შემთხვევაში, ის გახდება თურქული ცენტრი, რომელიც დაიწყებს ისლამიზაციის პროცესს. აჭარის ისლამიზაცია, სამწუხაროდ, უკვე დაწყებულია. განსაკუთრებით ახალგაზრდების გადაბირებას ცდილობენ. არაერთხელ მითქვამს, რომ გაჭირვებული ოჯახების შვილები თურქეთში მიჰყავთ სასწავლებლად. მათ იქ მუსლიმანურ სასწავლებლებში ასწავლიან. აჭარაშიც მრავლად გახლავთ ასეთი სასწავლებლები. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მასობრივად ინათლებოდნენ აჭარაში ქრისტიანულად. ამ მხრივ განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობდნენ. ახლა კი პირიქითაა. ახალგაზრდები ისლამს იღებენ. აჭარა, ფაქტობრივად, პატარა თურქეთია.

***– რას ნიშნავს პატარა თურქეთი?***

– იმას ნიშნავს, რომ ბათუმში უკვე 27 ათასი თურქი ცხოვრობს. როგორც ვიცი, აჭარაში ჩასახლდა 6 ათასამდე სომეხიც. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ აჭარა ჩვენი აღარ არის.

***– ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის ასეთი შეფასება?***

– რანაირად არის გადაჭარბებული. ბათუმის აეროპორტი თურქეთის დროით მუშაობს. თურქული ავიაკომპანიები ბათუმის მიმართულებით რეისებს რომ ასრულებენ, აცხადებენ, რომ შიდა რეისებს ასრულებენ. თურქული ტელევიზია ბათუმს თურქულ ქალაქად აცხადებს. გაივლი ქუჩაში და ქართული ლაპარაკი არ გესმის. სადღაა საქართველო. დღეს ბევრს აკრიტიკებენ ასლან აბაშიძეს. მას გასაკრიტიკებელი არაფერი აქვს, ერთი გოჯი მიწა არ მიუყიდია თურქებისთვის. ის აჭარაში თურქების ფეხის მოკიდებას ეწინააღმდეგებოდა.

***– არგუმენტი რა იყო?***

– ამბობდა, თურქებს მე ვინ მასწავლის, ეგენი აქ რომ შემოვიდნენ, აქედან აღარ წავლენო. მართალი იყო ასლანი. დღეს ყველაფერი თურქების ხელშია. ადგილობრივ მოსახლეობას მიწა აღარ აქვს. ზღვაზეც კი ვერ გადიან სათევზაოდ. აჭარლებს სამუშაო არა აქვთ. ვერაფერს აკეთებენ და, თუ რამეა აჭარაში გახსნილი, ყველაფერი თურქების საკუთრებაა. მთელი ეკონომიკა მაგათ წაიღეს. მე რაღაცა დროის განმავლობაში მომიწია გერმანიაში ცხოვრება. მოგეხსენებათ, რა ძლიერია ეს ქვეყანა და იქაურობაც კი დაიპყრეს. მთელ გერმანიაში შენობის პირველი სართულები თურქებს აქვთ შესყიდული. გერმანია აიკლეს და საქართველოში რას იზამენ. გაიარეთ დავით აღმაშენებლის გამზირზე და ვერც ერთ ქართულ ობიექტს ვერ ნახავთ. ყველაფერი თურქების ხელშია.

***– ამას ბევრი უჩივის. თქვენი აზრით, რატომ მოსწონთ თურქებს ასე ძალიან აღმაშენებლის გამზირი?***

– კორდონით რომ არის გაკეთებული, ეგ მოსწონთ. ყველაფერს უცხოელები ეპატრონებიან. ასე არ შეიძლება. ვერ დამისახელებთ მსოფლიოში ქვეყანას, სადაც მიგრაციის კანონი არ არის. უცხოელების ჩამოსახლება იმ ქვეყნებში მიგრაციის კანონით იზღუდება. ჩვენთან კი ოღონდ ვინმე ჩამოვიდეს, სიხარულით იღებენ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 2050 წლისათვის ქართველები გადავშენდებით. იმ პერიოდისთვის აღარც საქართველო იარსებებს. ცოტა ხანში ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი უცხოტომელი იქნება, ვიდრე ქართველი. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ უცხოელებზე გაყიდული მიწა უკან გამოისყიდოს. ამ ხელისუფლებას დაუჩემებია, ქართველებს მუშაობა ეზარებათ და ამიტომ არ ამუშავებენ მიწასო. ქართველ კაცს მიწის დასამუშავებლად ფული არა აქვს და ამიტომ ვერ ახერხებს მიწის დამუშავებას. საქართველო აქამდე ქართველმა გლეხმა მოიყვანა. ახლა კი გლეხს მიწას ართმევენ. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ახალი ხელისუფლებაც ძველ კურსს აგრძელებს. ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილს იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ მან სამართლიანობის აღდგენის პირობა დადო. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ივანიშვილს საქართველოსთვის კარგი უნდა, მაგრამ გარემოცვა უშლის ხელს. არჩევნების წინ ივანიშვილი დაგვპირდა, რომ ქართველი ხალხის ზურგს უკან არაფერს გააკეთებდა. ეს პირობა უნდა შეასრულოს. ის ქართველ ხალხს უნდა უსმენდეს და არა იმ პარტიებს, რომლებიც მის გვერდით მოკალათდნენ.

***– მხედველობაში ვინ გყავთ?***

– პირველ რიგში – რესპუბლიკელები, რომლებიც ყოველთვის ანტიეროვნულ საქმეებს აკეთებდნენ. ბიძინა ივანიშვილს ეგენი გაუფუჭებენ საქმეს. ივანიშვილს კი, როგორც უკვე გითხარით, ამ ქვეყნისთვის მხოლოდ კარგი უნდა. ამიტომაც ვურჩევ, ხალხს დაუგდოს ყური და არა საეჭვო პოლიტიკურ ძალებს. შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება.

***– ის არჩევნები იმავე შედეგით რომ დასრულდეს, ხალხი ისევ ბიძინა ივანიშვილის პარტიას მისცემს ხმას?***

– ივანიშვილის პარტიამ დამოუკიდებლად უნდა იყაროს კენჭი, რესპუბლიკელებმა და კოალიციაში შემავალმა სხვა პარტიებმა კი – ცალკე. აი, მაშინ დავინახავთ, ვინ მოხვდება პარლამენტში და ვის დაუჭერს ხალხი მხარს. ახლა ვიღაცები გაყოყოჩებულები დადიან პარლამენტში და ეს უნდა დამთავრდეს. ზემოთ გავიხსენე ივანიშვილის დაპირება, ყველაფერს ხალხს შევუთანხმებო. ვურჩევ და ვთხოვ ივანიშვილს, ხალხის პოზიცია გაითვალისწინოს აზიზიეს მეჩეთის აგებასთან დაკავშირებით. ამ თემაზე ბათუმში ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხულთა 95% ეწინააღმდეგება აზიზიეს მეჩეთის აშენებას, მათ შორის, მუსლიმანებიც. იმავეს ფიქრობს ხალხი მესხეთელი თურქების დაბრუნებაზე.

***– ეს პირობაც ევროსაბჭოს წინაშე გვაქვს დადებული.***

– მერე, ვინ არის ეს ევროსაბჭო, თქვენ დიდი რამე ხომ არ გგონიათ. მაგათ ურჩევნიათ, იმას მიხედონ, სააკაშვილმა ევროპის სახალხო პარტია რომ შეისყიდა. მესხეთელი თურქების საქართველოში ჩამოსახლება იქნება კატასტროფა, თანაც აქედან გაასახლეს 80 ათასი და უკან 400 ათასი უნდა დავიბრუნოთ. ეს ხალხი სად წავიყვანოთ? ეს იმ დროს ხდება, როცა ჩვენი უსახლკაროებისთვის ვერ მოგვივლია.

# ანი ნადარეიშვილი: „ბაჩო და დათა ახალაიები „ქართულ ოცნებასთან“ არ ითანამშრომლებენ“

შორენა მარსაგიშვილი

დღეს მთელი ერი ახალაიების ალაპარაკების მოლოდინშია. ამ ადამიანებს ძალიან ბევრი რამ აქვთ სათქმელი. ჯერჯერობით ისინი დუმილს ინარჩუნებენ. ახალი ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი მალე ალაპარაკდებიან.

განსაკუთრებული მოლოდინები დათა ახალაიას მიმართ არის. ამბობენ რომ ის მალე დაგვიბრუნდება და მაგარ რაღაცეებსაც გვიამბობს. „დათას ნაამბობს“ მთელი ერი სულმოუთქმენლად ელის. განსაკუთრებული მოლოდინი ძალოვნებს აქვთ. ისინი მზად არიან დათას დევნაც კი შეწყვიტონ.

ბაჩო ახალაიას მეუღლის ანი ნადარეიშვილის მტკიცებით, დათა და ბაჩო ახალაიები „ქართულ ოცნებას“ არასდროს გაურიგდებიან.

კითხვაზე – „ხომ არ ფიქრობთ, რომ დათა ახალაიამ ადვოკატის სახელით განცხადებების გავრცელება იმიტომ გადაწყვიტა, რომ ახალ მთავრობასთან ამ ფორმით თანამშრომლობის გარეშე თავისი უდანაშაულობის დამტკიცება გაუჭირდებოდა“, ბაჩო ახალაიას მეუღლემ აღნიშნული კატეგორიულად გამორიცხა.

– ეს ნამდვილად გამორიცხეთ; არც დათა და არც ბაჩო არასოდეს არ გაურიგდება „ქართულ ოცნებას“ ან ვინმეს საერთოდ. ეს აბსურდია, – აღნიშნა სააგენტო „პირველთან“ საუბარში ახალაიას მეუღლემ.

რაც შეეხება იმას, რომ ბოლო პერიოდში საუბრობენ იმაზე, თითქოს პროკურატურა დათა ახალაიას მიმართ შედარებით ლმობიერი გახდა და რითი შეიძლება, ეს განპირობებული იყოს, ანი ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ არანაირ ლმობიერებას არ ხედავს.

– არანაირ ლმობიერებას არ ვხედავ; პირიქით, 4 პატიმრობა აქვს ბაჩოს შეფარდებული. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც იურიდიულად შესაძლებელი იყო დავაყენეთ შუამდგომლობა და პროკურორმა თავი გაიგიჟა, არაო. რაც შეეხება დათაზე გაკეთებულ განცხადებას, ეს ჩვეულებრივი კომენტარია, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ თუ პირი მასზე უფრო დიდი თანამდებობის პირზე მისცემს ჩვენებას, მასთან საპროცესო შეთანხმება ფორმდება. ეს არის და ეს, – განაცხადა ნადარეიშვილმა.

ბოლო დროს დათა ახალაიას სახელით ფეისბუქზე რამდენიმე განცხადება გავრცელდა. ახალაიას ადვოკატი ამბობს რომ ეს განცხადებები მის დაცვის ქვეშ მყოფს ეკუთვნის.

ამ განცხადებებზე ანი ნადარეიშვილს არც ადრე გაუკეთებია კომენტარი. რამის თქმა ამჯერადაც გაუჭირდა.

– რ ვიცი, მაგასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, – აღნიშნა ახალაიას მეუღლემ

ბოროტი ხმები კი ამბობენ, რომ დათა მეგიზ ქარდავასთან და სოსო თოფურიძესთან ერთად ამ დღეებში ჩამოვა საქართველოში. მოკლედ დიდი ამბებია და ვერავინ ხვდება რაშია საქმე.

ახალაიას ალაპარაკებას კი ყველა ელოდება. მას უამრავი კომპრომატი აქვს, როგორც ნაციონალების, ასევე მეოცნებეების წინააღმდეგ.

# ბათუმის მერის ტელეფონი და ფეისბუქური ინტრიგა

როლანდ ხოჯანაშვილი

1 ოქტომბრამდე აჭარაში აქტიური პარტიული პირი თამუნა (თამარ) თაბუკაშვილი აცხადებს, რომ სოციალური ქსელით დატრიალებული ინტრიგის სამიზნეა. მას გია დუმბაძედ წოდებული ინკოგნიტო ადამიანი უკავშირდება და თავისი ტელეფონის ნომრის ნაცვლად ბათუმის მერის ნომერს აძლევს, მოკლე ხანში კი საეჭვო მიმოწერაც ქვეყნდება, რომელიც თითქოს თამარს ეკუთვნის. აღნიშნულით უკვე სამართალდამცავები დაინტერესდნენ.

***— ქალბატონო თამუნა, დავიწყოთ იმით, რომ თქვენ ზედმიწევნით ცნობილი ადამიანი ხართ ინტერნეტსივრცეში იმით, რომ სათქმელს ამბობთ დელიკატურობის გარეშე და თვით რასმუსენის ფეისბუქის ,,კედელიც“ ,,აიკელით“ ერთხელ. რამ განაპირობა თქვენი ასეთი სიხისტე?!***

— ჩემი სიხისტე იმ დროსაც, როცა რასმუსენის „კედელი“ „ავიკელი“ და ახლაც განპირობებულია საქართველოში შექმნილი მდგომარეობებიდან გამოდინარე. იმ შემთხვევაში ვაპროტესტებდი თვით ბატონი რასმუსენის არასწორად კრიტიკულ განცხადებას ახალი ხელისუფლების მიმართ. ამიტომ არ ვიყენებ დელიკატურობას ასეთი ადამიანების მისამართით, რადგან მიმაჩნია, რომ ახალმა ხელისუფლებამ აიღო ქვეყნის განვითარებისთვის სწორი და მართებული კურსი, ხოლო ბატონი რასმუსენი ამ კურსის არასწორად განსაზღვრას შეეცადა. ჩემი აზრით, დაკვირვების რეჟიმში უნდა იმყოფებოდეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და მათი გამოთქმული აზრი არ უნდა იწვევდეს დაპირისპირებას ქვეყნის პოზიციასა და ოპოზიციას შორის, თუ, რათქმაუნდა, ტენდენციურობასთან არ გვაქვს საქმე მათი მხრიდან.

***— როგორც ცნობილია, ,,კორუფციასთან ბრძოლის ცენტრის“ ხელმძღვანელმა გაასაჯაროებული გახადა თქვენი და გია დუმბაძის მიმოწერა, რომელიც საკადრო პოლიტიკას ეხებოდა, სიმართლე არის ერთი და მთელი, გვითხარით სიმართლე ამასთან დაკავშირებით.***

— რაც შეეხება ,,კორუფციასთან ბრძოლის ცენტრის“ ხელმძღვანელის




მიერ გამოქვეყნებულ პირადი მიმოწერის მასალას, არ დავიწყებ ამ თემას ჩემთვის უცნობი პიროვნებით ვიღაც გია დუმბაძით. მე ამ საკითხს დავიწყებ პირველად გამოქვეყნებული საუბრებიდან, რომელიც ნამდვილად შედგა. ამას ვადასტურებ ჩემსა და ვითომ ერეკლე დუმბაძეს შორის, რის დროსაც გამოყენებული იყო ფალსიფიცირებულად შექმნილი ფაცებოოკ-ს ეგრედწოდებული აკაუნტი დუმბაძე მურმან და თვითმარქვია სწორედ ამ გვერდის საშუალებით შემოვიდა ჩემთან სასაუბრო კონტაქტში. ვაღიარებ, რომ ეს პიროვნება, ვინც დამიკავშირდა პირველ შემთხვევაში, თავიდან ნამდვილად მეგონა, რომ იყო ერეკლე დუმბაძე, თუმცა, როცა მან ერეკლე დუმბაძის ნარკომანობაზე დაიწყო საუბარი, ეჭვი შემეპარა და ამის შემდეგ რამდენიმეჯერ ვთხოვე მოეცა თავისი ტელეფონის ნომერი. რაზედაც ვიღებდი აბსოლუტურ იგნორს. მე მასთან არცერთ კითხავზე კონკრეტული პასუხი არ გამიცია და შეხვედრის შემთხვევაში ვთავაზობდი განზოგადებულად განგვეხილა ის საუბრები, რაზედაც მას ჰქონდა ჩემთან. იმის გამო, რომ ამ თვითმარქვია პიროვნებას არ შეეტანა ეჭვი ჩემს მის მიმართ მხილებაში, მასთან საკმაოდ თამამი მიმოწერა დავიწყე. თუმცა ჩემი დაჟინებული მოთხოვნის გამო, მოეცა მას ჩემთვის თავისი მობილური ტელეფონის ნომერი, როგორც აღმოჩნდა ბოლოს მისთვის გახდა ხილული ჩემი ეჭვი და მან მომცა სხვა, ჩემთვის უცხო ადამიანის მობილურის ნომერი. ეს ნომერი, კი არც მეტი და არც ნაკლები, აღმოჩნდა თვით ქალაქ ბათუმის მერის, ჯემალ ანანიძის, ეს კიდევ ერთი დანაშაული. ვფიქრობ, ეს პირველი ჩატის საუბრების თემა ზოგადად განვიხილეთ. ახლა რაც შეეხება ჩემთვის სრულიად უცნობ გია დუმბაძესთან ვითომდა შემდგარ საუბარს. საერთოდ არ ვიცნობ პიროვნებას ამ სახელით და გვარით. უფრო დასაბუთებული არგუმენტით რომ განგიმარტოთ, ამ ჩატის სიყალბე დასტურდება ორი ფაქტორიდან გამომდინარე. პირველი ის, რომ არსებულ ჩატის საუბარს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი საიტის ლინკი, სადაც მიდის ეს ჩანაწერი. მეორე არგუმენტი კი მდგომარეობს იმაში, რომ როგორც თქვენ აღნიშნეთ, მე საკმაოდ ფართო მომხმარებელი ვარ ინტერნეტსივრცის და ვფიქრობ, ძალიან ბევრმა ადამიანმა იცის უკვე ჩემი ხელწერა, საუბრის სტილი და ლოგიკის მანერა. შესაბამისად, შეიძლება გადამოწმდეს ჩემი ხელწერა და შედარება მოხდეს იმ სიყალბეს შორის, რაც მერაბ ღოღობერიძემ გამოაქვეყნა. მერაბ ღოღობერიძემ გარდა პირველი და მეორე საუბრების ჩანაწერებისა, შექმნა კიდევ რამდენიმე ყალბი ჩანაწერი, სადაც ჩემთვის ნაცნობ თუ უცნობ პიროვნებებს იყენებს აღნიშნულ საუბრებში. ზოგ საუბარს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ჩემთვის და საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობ პიროვნების ოჯახურ მდგომარეობას საფრთხე შეუქმნას. რაც შეეხება პირველი საუბრის დროს ღოღობერიძის მიერ გაკეთებულ კომენტარს, თითქოს მე ერთ-ერთ ინტერნეტკაფეში დამრჩა ჩართული ჩემი ,,ფეისბუქი“, არის სრულიად აბსურდული, პირევლ რიგში იმიტომ, რომ ერთი თვეა, რაც შევიძინე ეგრედწოდებული „ლეპტოპი“ და იმით ვსარგებლობ. ხოლო ჩართული ფეისბუქის შემთხვევა რომ განვიხილოთ, მას არავითარი უფლება არ ჰქონდა წაეკითხა ჩემი პირადი მიმოწერა ნებისმიერ პიროვნებასთან და მითუმეტეს, ის საჯარო გაეხადა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, დავიცვა საკუთარი უფლებები კანონის ფარგლებში და საქმე გადავეცი პროკურატურას.

***— ,,ახალი თაობა“ არც ისე დიდი ხნის წინ წერდა აჭარაში საკადრო ცვლილებების შესახებ, ეთანხმებით და ადასტურებთ იმ სტატიაში მოყვანილ ფაქტებს?!***

— ყველა ის ფაქტი, რაც გამოქვეყნდდა „ახალ თაობაში“, არის ბათუმის საზოგადოების მიერ მოწოდებული და ვადასტურებ, რომ შეესაბამება სრულ სიმართლეს. თუ ამ სტატიაში გამოქვეყნებულ მასალას არ ეთანხმება მთავრობის აპარატის სამსახური, ამდენხანს შეეძლოთ რეაგირება მოეხდინათ ფაქტებთან დაკავშირებით. ეს არ უნდა ხდებოდეს ვიღაც მერაბ ღოღობერიძის მიერ, რადგან ამ შემთხვევაში მიჩნდება ეჭვი იმისა, რომ მერაბ ღოღობერიძის უკან დგას იმ ადამიანთა გუნდი, ვისაც გაზეთში გამოქვეყნებული მასალა არ მოეწონა სიმართლის გამო.

***— როგორც ვიცი, თქვენ გბრალდებათ მურმან დუმბაძის სასარგებლოდ მთავრობის წარმომადგენლების დისკრედიტაციის მცდელობა, რას იტყვით ამაზე?***

— მე ვარ „ქართული ოცნების“ წევრი, საკმაოდ აქტიური აქტივისტი ბათუმის წინასაარჩევნო შტაბიდან, სადაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა როგორც უშუალოდ პარტიის, ასევე მაჟორიტარობის კანდიდატის გასამარჯვებლად. შესაბამისად, მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი იმ ინტერესების გამზიარებელი, რაც ხორციელდებოდა ბათუმის „ქართული ოცნების“ შტაბში. არჩევნების შემდეგ, როდესაც დაიხურა შტაბის ოფისი, მურმან დუმბაძესთან შეხვედრა მქონდა მხოლოდ ერთხელ და ამის შემდეგ მე მასთან კონტაქტი არ მქონია. შესაბამისად ვერავინ ვერ დამდებს ბრალს მურმან დუმბაძის სასარგებლოდ მუშაობაში, მითუმეტეს, დუმბაძის და მთავრობის წარმომადგენლებს შორის დისკრედიტაციის მცდელობაში.

***— დისკრედიტაციის მცდელობის სქემაში ჟურნალისტური კორპუსიც არის ჩართული, რომელიც დაკვეთილ სტატიებზე იმუშავებდაო. პირადად ჩემთვის ეს მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. სად მარხია ძაღლის თავი ამ შემთხვევაში?!***

— მართლა სასაცილო ვერსიაა. ჟურნალისტებს არ სჭირდებათ დაკვეთა ამგვარ სტატიებზე სამუშაოდ, რადგან კითხვადი და საინტერესო თემაა.

***— რატომ მოხვდა თამუნა თაბუკაშვილი აჭარაში ამ ბოლო დღეებში ყურადღების ცენტრში, იკვეთება სადმე ღოღობერიძისა და თქვენი ინტერესები?***

— მერაბ ღოღობერიძე არის ერთი ამბიციური ადამიანი, რომელსაც რამდენიმე პარტიაა აქვს მოვლილი, ასე ვთქვათ და ვერსად ვერ დაიმკვიდრა თავი, სწორედ ამ ამბიციების გამო. მისი მთავარი, ოღონდ არაკორექტული და უნიჭო, გამოვლინება არის პოპულიზმი. ყველგან ცდილობს საკუთარი თავის აფიშირებას! ჩვენ ვმეგობრობდით და ამ მეგობრობის განმავლობაში, მე ვცდილობდი როგორმე მიმეყვანა იგი ერთ კონცეფციამდე, მაგრამ ალბათ ასეთი ადამიანის აღზრდა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ვაგრძელებდი მასთან მეგობრობას, თუმცა როცა იგი აშკარად გადავიდა ზღვარს და აბსოლუტურად უხამსი შეფასებებით დაიწყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ლანძღვა, მე მას მივუთითე, რომ ზედმეტი მოსდიოდა. მან არ შეისმინა ჩემი არც თხოვნა და არც დარიგება და უფრო გაამწვავა თავისი ქმედებები. მერაბ ღოღობერიძე არ არის იმ დონის და ნიჭის ადამიანი, რომ ყველაფერი ის, რაც მან ამ მოკლე ხანში განახორციელა ამ ფაქტების ჩადენით, მე შემიძლია ვთქვა, რომ მის უკან არის ჯგუფურად მოქმედი ადამიანები. თუმცა ამას უკვე გამოძიება დაადგენს და სწორედ სასამართლოს შედეგებს დაველოდები.

## აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თამაზ თამაზაშვილის პატიმრობის ფაქტს გამოეხმაურა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, თავის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებათა შესახებ, თამაზ თამაზაშვილის დაპატიმრების ფაქტს ეხმიანება და აღნიშნავს, რომ ის, წინა ხელისუფლების ძალოვნებმა, ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გაკეთებული განცხადებიდან 4 დღეში დააკავეს.

„საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და ოპოზიციური პარტიის წევრები აცხადებენ, რომ წლის განმავლობაში, საქართველოში, პოლიტიკურად მოტივირებულ თვითნებურ დაკავებებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, მაშინდელი ოპოზიციის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მრჩევლის სიმამრსა და კახეთის რეგიონული პოლიციის ყოფილ უფროსს, თამაზ თამაზაშვილს, 30 აპრილს, ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი მოწყობილობის უკანონო ფლობისთვის, სამნახევარი წელი მიესაჯა. ოპოზიციური პარტიის წევრების განცხადებით, მისი დაკავება და განაჩენი, ჩადებულ სამხილსა და სამართალდამცავი ორგანოების შეცდომაში შეყვანას ეფუძნებოდა. თამაზაშვილი, ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადების გაკეთებიდან ოთხ დღეში დააკავეს. საპროცესო შეთანხმებით მისი სასჯელი ერთ წლამდე შემცირდა და 10 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვიდა, — გაათავისუფლეს“ — ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

ნიუსპრესი

## ლევან ყიფიანმა და ირაკლი ღარიბაშვილმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს



შინაგან საქმეთა სამინისტროში, გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, დოკუმენტის რატიფიცირების მიზანია, ახალგაზრდებში დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება, რისკჯგუფებთან მუშაობა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილება. ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

სამინისტროს ინფორმაციითვე, მემორანდუმის ფარგლებში, დაიგეგმება და გაიმართება ერთობლივი სპორტული, შემეცნებითი და ახალგაზრდული ტურნირები და სხვა ღონისძიებები. ასევე დაიგეგმება სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაშავებული თანამშრომლების სპორტულ პარაოლიმპიურ შეჯიბრებებსა და ინტელექტუალურ თამაშებში ჩართვა.

გარდა ამისა, მემორანდუმი ითვალისწინებს შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან ერთად სპორტულ შეჯიბრებებზე, მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის წინააღმდეგ მიმართული შესაბამისი პრევენციული სახის სამუშაოების გატარებას. აგრეთვე, პროფესიული სპორტული შეჯიბრების მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვის ან სპორტულ შეჯიბრებებზე უკანონო ფსონების დადების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას.

ნიუსპრესი

## შსს აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ ჩაერთო



შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამმართველოსა და საგზაო შემთხვევათა საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლებმა, საქველმოქმედო აქციის — „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე,“ ფარგლებში გუშინ, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი ჩააბარეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აქცია პერმანენტული ხასიათისაა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები მთელი წლის განმავლობაში სისხლს ყოველ კვირას ჩააბარებენ.

ნიუსპრესი

## საქართველო პროექტში — ,,არასრულწლოვნები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში“ — ჩაერთო

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში — ,,არასრულწლოვნები საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში“ — ჩაერთო. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ თემასთან დაკავშირებით, დღეს სასტუმრო „თბილისი მერიოტში,“ შსს-ს ადმინისტრაციის უფროსმა თამარ ტალიაშვილმა, თავის მოხსენებაში, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა. მრგვალ მაგიდაზე განიხილეს არასრულწლოვანთა დაცვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პერსპექტივებიც.

ნიუსპრესი

## შსს-მ ყაჩაღური დაჯგუფება ცხელ კვალზე დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 1-ლი განყოფილებისა და დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ყაჩაღობის ბრალდებით ცხელ კვალზე, გიორგი გ, ნიკოლოზ გ. და ზურაბ მ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პიროვნება გვიან ღამით, თბილისში, დიღმის მასივში, რობაქიძის გამზირზე ყაჩაღურად თავს დაესხა სადღეღამისო სუპერმარკეტ „ველგანს“. სამართალდამცველებმა ბრალდებულები ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დანაშაულის ჩადენიდან მოკლე დროში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე დააკავეს. დაკავებულების პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, „მაგნუმი“-ს ტიპის პისტოლეტი, „ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა, 410 ლარი, ხელთათმანები და შარფები, რომლითაც ბრალდებულები ყაჩაღობის დროს სახის დაფარვას ცდილობდნენ, ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა აპრილში სამი ყაჩაღობა ჩაიდინეს. მათ ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე, ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე მარკეტი „ბონი“, ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე სადღეღამისო მარკეტი და აბაშიძის ქუჩაზე მდებარე, სასურსათო მაღაზიათა ქსელ „პოპული“-ს ფილიალი დააყაჩაღეს. ბრალდებულებმა სამივე დანაშაული, ნიღბებით და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულებმა, ღამის

საათებში ჩაიდინეს. ნაყაჩაღარმა საერთო თანხამ 1200 ლარი შეადგინა. დაკავებულები ყველა ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ჯგუფური ყაჩაღობა) მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# ნაციონალების გადარჩენა უსუფაშვილის ინტერესებშია

## ირინა სარიშვილი: „რესპუბლიკელები კიდევ ბევრ შოკისმომგვრელ განცხადებასაც გააკეთებენ“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

*— ქალბატონო ირინა, რამდენად გჯერათ, რომ ნაციონალური მოძრაობა შეძლებს ეროვნულ მოძრაობად გადაქცევას?*

— ისინი ამას რომ ვერ შეძლებენ, ფაქტია. ისე, როგორც ვერასოდეს, ვერ გახდებიან არასისხლისსამართლის დამნაშავეები. აქ პრობლემა სხვა რამეშია, შეუწყობს თუ არა გარე პირობები ხელს იმაში, რომ ეს სახელი მიიწებონ. ამით ისინი უკეთესები ვერ გახდებიან, უბრალოდ, თვითონ ეროვნული მოძრაობის, როგორც ასეთი ცნების დისკრედიტაცია მოხდება. ფაქტია, რომ როდესაც ჩვენ რაღაცა სიტყვას ჩვენს უარყოფით მოვლენასთან, ან ადამიანებთან დაკავშირებით ხშირად ვიყენებთ, მერე იმ სიტყვის მიმართაც ჩნდება ხოლმე გარკვეული უარყოფითი ემოციები. მე ვფიქრობ, რომ ეს დამოკიდებულია თითოეულ ჩვენგანზეც, განსაკუთრებით ჟურნალისტებზე და საჯარო პირებზე, ცნობად სახეებზე, რამდენად არ შეუწყობს ეს ხალხი იმას ხელს, რომ მათ ეს სახელი ატარონ და დაერქვათ. მე რომ მკითხოთ, ამ თემაზე ხუმრობაც კი არ შეიძლება. იმიტომ, რომ ბევრი წელია, ჩვენთან ყველა ცნება, აბსოლუტურად ყველა ცნება ძალიან ცუდ ქვეტექსტს იძენს, სწორედ იმიტომ, რომ ამ ცნებებით სარგებლობდნენ მასთან შესაბამო და აგრესიის გამომწვევი ადამიანები. ეს ერთი და მეორეც, რაც ასე ძალიან, ძალიან გასათვალისწინებელია: მე ისევ და ისევ ვრჩები იმ აზრზე, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც ოპოზიცია, ძალიან აწყობს დღევანდელ ხელისუფლებას. არა თუ შემსუსტებია ეს აზრი, პირიქით, გამიძლიერდა, განსაკუთრებით ბოლო მოვლენების შემდეგ. მიზეზი კი გახლავთ ის, რომ წარუმატებელი ხელისუფლებაც კი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს, როდესაც მას ასეთი არაპოპულარული და აგრესიის გამომწვევი ოპოზიცია ჰყავს. ამის გარდა დღევანდელ ხელისუფლებას გადასადგმელი აქვს ძალიან არაპოპულარული ნაბიჯები ეროვნული თვალსაზრისით. ამ ნაბიჯებს სიამოვნებით გადადგამდა სააკაშვილის ხელისუფლებაც, მაგრამ მას ეს სწორედ იმიტომ არ დასცალდა, რომ დისკრედიტებული ხელისუფლებისგან სამართლებრივი დოკუმენტაციის შექმნა, მერე ძალიან დიდი დარტყმის ქვეშ დააყენებდა თვითონ ამ დოკუმენტს და ამ გადაწყვეტილებებს. ამიტომ, რაც გასაკეთებელია, ის ახალსისხლგადასხმულ და ჯერ კიდევ ნდობის მანდატით აღჭურვილ ხელისუფლებას გადაეცა გასაკეთებლად, ხოლო ამის წინააღმდეგ ბრძოლა, ყველაზე არაპოპულარულ ძალას უნდა ჩაუგდონ ხელში და სწორედ ამიტომაც გაჩნდა იდეა და ეს იდეა, რა თქმა უნდა, მათში არ გაჩენილა, თვითონ ამ ადამიანებში, რომ ეროვნული მოძრაობის სახელით დაიწყონ ხელისუფლების წინააღმდეგ აი, ამ კონკრეტულ თემაზე მოქმედება.

*— რომელ თემას გულისხმობთ?*

— ხელისუფლება აპირებს გადაწყვეტილების მიღებას, რომელმაც უნდა შეცვალოს საქართველოს ოფიციალური დამოკიდებულება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ. ანუ ამა თუ იმ ფორმით უნდა მოხდეს მათი დამოუკიდებლობის დე ფაქტო მდგომარეობის აღიარება და ამის წინააღმდეგ ბრძოლა ხელში უვარდება ნაციონალურ მოძრაობას, ყველაზე საძულველ ძალას საქართველოში. ამას რაც მოჰყვება შედეგად, გასაგებია. ამას შეიძლება მოჰყვეს შედეგად ეროვნული მოძრაობის ცნების დაკნინება და თვითონ იმ თემის მეასე ადგილზე გადატანას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დღეს.

*— და ეს ყველაფერი ახალი ხელისუფლების ინტერესებში შედის?*

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლება თავს დაცულად უნდა გრძნობდეს და ის თემებიც დაცული უნდა იყოს შედეგიანი წინააღმდეგობისგან. დღეს ნაციონალურმა მოძრაობამ გამრავლების ტაბულა სწორად რომ ჩამოთვალოს, იმასაც კი არ მისცემს ხალხი ადეკვატურ რეაგირებას, იმიტომ, რომ თვითონ სააკაშვილის პარტია იწვევს ძალიან დიდ აგრესიას. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი რამ, ნათქვამი არაპოპულარული ძალის მხრიდან, აღიქმება ძალიან ცუდად მოსახლეობის მიერ. ფაქტიურად ერთი და იგივე მიზეზი მუშაობს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სამართლებრივი ცვლილება საქართველოს მხრიდან, მისი ტერიტორიების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსებთან დაკავშირებით არ უნდა მომხდარიყო გალანძღული ძალის მიერ, ხოლო ბრძოლა მის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, უნდა აწარმოოს გალანძღულმა ძალამ, რომ ამ ბრძოლამ შედეგი არ გამოიღოს.



*— ნაციონალების გადარჩენას რაც შეეხება, ამის თაობაზე უკვე არაერთი განცხადება მოვისმინეთ, იგივე რესპუბლიკელებისგან...*

— პირადად დავით უსუფაშვილისგან, ამას უკვე აღარც მალავენ. როგორც აღმოჩნდა, ეს საამაყოა რესპუბლიკელებისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გადარჩეს და დარჩეს, როგორც პოლიტიკური ძალა. მე იმდენად არ ვწუხვარ უსუფაშვილის განცხადებაზე, იმიტომ, რომ ეს ჩემთვის სიურპრიზი არ არის, უსუფაშვილი და „ძმანი მისნი“ კიდევ ბევრ შოკისმომგვრელ განცხადებასაც გააკეთებენ მომავალში, მაგრამ მე ძალიან მაწუხებს საზოგადოების რეაგირება ამ ყველაფერზე. საზოგადოება ცალკე რეაგირებს, რა თქმა უნდა, უარყოფითად უსუფაშვილის განცხადებებზე, ისევე როგორც ცალკე უარყოფითად ირეაგირებს, როდესაც რესპუბლიკელები გაგვახარებენ და უკვე საჯაროდ გაგვაცნობენ, რა შეხედულებები აქვთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. ამაზე მოხდება, რა თქმა უნდა, ცალკე, კონკრეტულად ამ ჯგუფის მიმართ რეაგირება, მაგრამ რატომღაც ძალიან ცოტა არ მიჯნავს რესპუბლიკელებს მთელი ხელისუფლებისგან. იმიტომ, რომ დღეს რასაც ამბობენ რესპუბლიკელები და განსაკუთრებით უსუფაშვილზე, როგორც პარლამენტის ტავმჯდომარეზეა საუბარი, ეს არ გახლავთ უბრალოდ არაპოპულარული პარტიის წარმომადგენლის განცხადება, ეს არის სახელისუფლო, სამთავრობო პარტიის განცხადება და რეალურად, ნებისმიერი მათი სიტყვა, სინამდვილეში ეს არის ხელისუფლების სიტყვა. აი, ამაზე ცოტა უჭირს საზოგადოებას ადეკვატური რეაგირება.

*— რა არის ამის მიზეზი? ან სად არის დანარჩენი ოპოზიცია?*

— აი, ამის მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ მათი ერთადერთი მოწინააღმდეგე არის ყველასთვის სამართლიანად საძულველი ნაციონალური მოძრაობა. რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციას, მართალი რომ გითხრათ, მე გაოგნებული ვარ იმ პროცესებით, რაც დანარჩენ ოპოზიციაში მიდის. ნაცვლად იმისა, რომ თითოეულ ჩვენგანს, გვიყვარს ერთმანეთი არ გვიყვარს, გვეთმობა რაღაც ამბიციები თუ არ გვეთმობა, ყველანაირად უნდა გვეცადა და გვეპოვა ჩვენს თავში იმის ძალა, რომ ერთმანეთისკენ ნაბიჯი გადაგვედგა და ამ კატასტროფას გადაგვერჩინა საქართველო, ანუ შევქმნათ რეალურად ოპოზიციური ძალა, ცენტრი, რომელიც არ იქნება საფრთხობელა. იმიტომ, რომ დღეს არსებული ოპოზიცია, 40%-იანი, საფრთხობელასავით დგას ამ პოლიტიკურ სპექტრში, ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რაც ხდება ოპოზიციაში. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა გამოთავისუფლებულ ადგილებზე კენჭისყრა და დასახელებული კანდიდატურები. სამწუხაროდ, აქაც კი ვერ ახერხებს ოპოზიცია, რომ ერთ შედარებით მომგებიან კანდიდატზე შეთანხმდეს. აქ აღარ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, როგორც მოქალაქისთვის, რომელია უფრო მომგებიანი კანდიდატურა, მთავარი ის არის, რომ როდესაც არ თმობს ერთი, მეორეს თუნდაც უფრო მომგებიანს, ეპოვა საკუთარ თავში ძალა და თვითონ დაეთმო. აქ პოლიტიკურ ძალებზეა საუბარი. ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით ასეთ შემთხვევაში ეს როგორც დასრულდება.

*— გამოდის, რომ საუბარი იმაზე, რომ შეიქმნას რეალური მესამე ოპოზიციური ცენტრი, არ მოხდება?*

— მე ახლა ამას პირველად არ ვამბობ, დღევანდელი მოცემულობით ეს პერსპექტივა, ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ არ ჩანს. თუ არ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი, არაპროგნოზირებადი, რისი წინასწარი ანალიზიც არა მხოლოდ ჩემთვის, აბსოლუტურად ყველასთვის შეუძლებელია. დღეს როგორც მიმდინარეობს მოვლენები, აი, ასეთი მიმართულებით რამდენი ხანიც წავა ეს მოვლენები და რამდენი ხანიც ვიქნებით იმ გარემოში, რაშიც ვართ, ფაქტია, რომ ასეთი ძალის ჩამოყალიბებას პერსპექტივა არა აქვს. მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ იმას, რომელი დაირქმევს ამ პოლიტიკურ ძალას, ასეთი შეიძლება იყოს 10-15 ან სულაც ოცი. ერთზე მეტი პოლიტიკური ცენტრი, ბუნებრივია, არის უკვე პარადოქსი. აქ უნდა იყოს ლაპარაკი არა პრეტენზიებზე, რომელი პოლიტიკური პარტიიდან, რომ მე ვარ ღირსი, რომ მე ვიყო ცენტრი მესამე პოლიტიკური ძალის, არამედ რეალურ შეთანხმებაზე. სადაც შესაძლებელია ლიდერი საერთოდ არ ყოფილიყო რომელიმე პარტიის ლიდერი, რათა სხვებს არ სწყენოდათ, თუ მაინცდამაინც ეს ასე საწყენია. ჩვენ ახლა ვუყურებთ განსაკუთრებით ამ გამოთავისუფლებულ ადგილებთან დაკავშირებით და კიდევ სხვა თემებზე რა დამოკიდებულებაც არის ამ ოპოზიციურ დაჯგუფებებს შორის და აბა, რა გითხრათ, თუ არის იქ რამე საიმედო ამ მესამე ძალის შესაქმნელად, რეალურის და არა უბრალოდ სახელი რომ ჰქონდეს მესამე ძალის, თუ ჩანს აქ რამე პოზიტიური და მე ვერ ვხედავ, მაშინ ძალიან მოხარული ვიქნები, მაგრამ მე პირადად ვერ ვხედავ.

*— ყოველთვის ასე იყო, ქალბატონო ირინა და არც არის გასაკვირი, იმხელა ამბიციები ჰქონდათ, რომ ვერასდროს ახერხებდნენ გაერთიანებას...*

— უბრალოდ, დღეს ჩვენ ვართ სულ სხვა მდგომარეობაში და რატომ? ადრე მთელი ოპოზიცია ჭამდა ერთმანეთს. ხლა ჩვენ გვყავს ოპოზიცია, ნომენკლატურული ოპოზიცია. ეს ის კი არ არის სატელიტი ოპოზიციური პარტიები რომ ჰყავდა ადრინდელ ხელისუფლებას, ეს არის 40%-იანი ოპოზიცია, წინა ხელისუფლება, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს სადავეები და რომელსაც ამ სადავეების წართმევას არც უპირებს დღევანდელი ხელისუფლება. პირიქით, დღევანდელ ხელისუფლებას ყველაფერი იქითკენ მიჰყავს, რომ ამ ე.წ. ოპოზიციამ კარგად მოიკიდოს ფეხი. უფრო მეტიც, ადრე თუ ამ მიმართულებით მოქმედებდნენ სხვადასხვა ტერმინოლოგიით შენიღბულები, მათ შორის ტერმინი — კოჰაბიტაცია შემოიღეს და ასე შემდეგ, დღეს უკვე ამ გეგმაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ და ამ გეგმას ახმოვანებს პარლამენტის თავმჯდომარე. საზღვარგვარეთ წარმატებით გამოსვლა არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაშიც ყველაფერს წარმატებით უძლევები და ხარ წარმატებული.

*— პრემიერის გამოსვლას გულისხმობთ?*

— რასაკვირველია. იქ გამოსვლებზე მეტად ის უფრო მნიშვნელოვანია, რას აკეთებს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით, რას აკეთებს სინამდვილეში. ამ ხელისუფლებას გასაკეთებელი აქვს ძალიან ცუდი რამ, იმისთვის, რომ საქართველო კონკრეტულმა ძალებმა მიიღონ სტაბილურ ტერიტორიად, აი, ამისთვის საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ უნდა თქვას ფაქტიურად უარი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების ამა თუ იმ ფორმაზე და ასეთ დროს ბუნებრივია, დღევანდელ ხელისუფლებას ჰაერივით სჭირდება დასავლეთში მომგებიანი, კარგი, სხარტი გამოსვლები. თუნდაც ისეთი, რომელმაც შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, რომ იქ რაღაცას ჩვენ წინააღმდეგობა გავუწიეთ. საქმით რას გაეწევა წინააღმდეგობა, ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა და მე რომ ვიცი, რომ საქმით ამისთვის არა თუ წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებს, პირიქით, ამ ნაბიჯის გადადგმა დიდი ხანია დაგეგმილია, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, მე უკვე ნაკლებად ვფიქრობ, რომ რაიმე სიხარულის მიზეზი მაქვს, თუნდაც წარმატებული გამოსვლების შემთხვევაში.

# „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას „დასაქმების კონცეფციას“ სთავაზობს

პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,“ ხელისუფლებას დასაქმების კონცეფციის საკუთარ ვარიანტს სთავაზობს, რომელიც პარტიის პრესსამსახურმა გუშინ გამოაქვეყნა.

„ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო, აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ გადადგას შემდგომი სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები ვითარების გამოსწორებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესის სტიმულირებისთვის აუცილებელია მოხდეს გადასახადების შემცირება ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო საგადასახადო კოდექსში 2012 წლის დეკემბერში მიღებულ ცვლილებებამდე და მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს შრომის ბაზრის თავისუფლება. ამასთან, სამუშაო ადგილებს ქმნის ბიზნესი. ამიტომ დაცულობისა და სტაბილურობის განცდა კერძო სექტორში, დასაქმების ხელშეწყობისთვის მნიშნელოვანია. შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს 2 წლიანი მორატორიუმი ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ გარემოზე. საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს კანონი ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის ამნისტიისა და დაფარული გადასახადების ლეგალიზაციის შესახებ, რომელიც 2013 წლის 1 იანვრამდეა ჩადენილი. ასევე, მოხდეს ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის დეკრიმინალიზაცია და აიკრძალოს სასამართლოს ნებართვის გარეშე კერძო მფლობელობაში არსებული კომპანიების შემოწმება სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ“ — ნათქვამია „ნაციონალური მოძრაობის“ რეკომენდაციაში.

რეკომენდაციის თანახმადვე, დასაქმების ზრდა შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ამისათვის კი აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება, ხოლო, შესაძლებლობის შემთხვევაში, გაუმჯობესება, რათა, მთავრობის სუვერენულ რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესება მოხდეს. გარდა ამისა, — „ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნა მკვეთრ სტიმულს მისცემს სამუშაო ადგილების შექმნის პროცესს. ამიტომ, უნდა დაჩქარდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების მოლაპარაკებები აშშ-სთან“ — მიიჩნევენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები.

**ნიუსპრესი**

# ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებამ დაკავებული ქართველები გაათავისუფლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული 3 მოქალაქე გათავისუფლდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 19 აპრილს, რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, მწყემსები — 1957 წელს დაბადებული არსენ ლაფაჩი და 1957 წელს დაბადებული გაიოზ ელიკაშვილი სოფელ ქერეში, ხოლო 1937 წელს დაბადებული დიმიტრი გინტური სოფელ მეჯვრისხევში დააკავეს.

ოსური მილიციის თანამშრომლებმა ისინი ჯერ ღრომში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს. ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, უკანონოდ დაკავებული სამივე მოქალაქე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო წარმომადგენლებმა, გუშინ დილით გაათავისუფლეს.

**ნიუსპრესი**

# ზაზა გაბუნია: „თბილისის მერია მოსახლეობის მოსყიდვას ცდილობს“



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, თბილისის მერია ვაუჩერებით მოქალაქეების მოსყიდვას ცდილობს.

გაბუნიას თქმით, ამ სამი თვის მანძილზე კომუნალურ გადასახადზე დახმარების დაწესებით, მერიამ საზოგადოებას აჩვენა, რომ ამგვარი დახმარება ღირებული და მნიშვნელოვანია და ახლა მერია ცდილობს ამ ღირებულების გამოყენებით ევაჭროს თბილისელებს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

„მე მოვითხოვ მერიისგან, რომ დაპირებისამებრ, შემდეგი 2 თვეც გააგრძელონ კომუნალურ გადასახადებზე დახმარების პროცესი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ეს გადაწყვეტილება აღქმული იქნება ამომრჩევლის პოლიტიკური მოსყიდვის მცდელობად“ — განაცხადა გაბუნიამ.

**ნიუსპრესი**

# ჩატარდება თუ არა 26 მაისს სამხედრო აღლუმი, ჯერ უცნობია

ნათია ხურცილავა

**26 მაისს ჩატარდება თუ არა აღლუმი, ჯერ ისევ უცნობია. ასევე უცნობია, ჩაიბარებს თუ არა აღლუმს ქვეყნის მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი. ამ საკითხით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა ვიცე-პრემიერ გიორგი მარგველაშვილისგან პასუხი ვერ მივიღეთ. თუმცა, როგორც გავარკვიეთ, 26 მაისთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს.**

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აღლუმთან დაკავშირებული საქმიანობა ვიცე-პრემიერ გიორგი მარგველაშვილს ჩააბარა. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს, ჩაიბარებს თუ არა 26 მაისის აღლუმს საქართველოს პრეზიდენტი.

როგორც მარგველაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ეტაპზე ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და, შესაბამისად, ვერაფერს იტყვის.

— ეს იქნება დიდი ეროვნული ზეიმი, რომელშიც მთავარი და წარმმართველი არის ის, რომ ამ დიდი სიამაყის დღეს მთელი საქართველო ვზეიმობთ და ამაში იქნება ჩართული აბსოლუტურად ყველა. ეს იქნება დიდი თანხმობისა და ზეიმის დღე, — განაცხადა მარგველაშვილმა.

26 მაისის აღლუმი როგორი ფორმით ჩატარდება, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის განცხადებით, ამის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას უახლოეს მომავალში ეცნობება.

— პრემიერის გადაწყვეტილებით, ეს თემა გიორგი მარგველაშვილმა ჩაიბარა. დეტალებზე არ შემიძლია, კონკრეტულად მოგახსენოთ, თუ რა როგორ იქნება. როგორი ფორმით ჩატარდება ზეიმი, ამას საზოგადოება უახლოეს მომავალში გაიგებს, — ამბობს კალაძე.

მთავრობის სხდომაზე გუშინ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მინისტრებისგან აქტუალურ საკითხებზე მიიღო ინფორმაცია. ივანიშვილმა კი მინისტრთა კაბინეტს ევროსაბჭოში ვიზიტის დეტალებზე მიაწოდა ინფორმაცია.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვისთვის 2013 წელს 5 მილიონი ლარი გამოიყო.

მინისტრის თქმით, დღევანდელ სხდომაზე ორი საკითხი განიხილებოდა. ერთი ეხებოდა აღმაშენებლის ხეივანში მდებარე ეროვნულ სასწავლო ცენტრს, რომლის მშენებლობაც მიმდინარე წელს დასრულდება და მეორე — ელექტრონული ბაზის შექმნას.

სერგეენკოს განმარტებით, შეიქმნება ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელშიც შევა ინფორმაციები პაციენტების შესახებ, ინფორმაცია მომსახურების ხარისხის შესახებ და ზოგადად სრული დოკუმენტაცია.

— ორივე პროგრამის ჯამური ბიუჯეტი 5 მილიონ ლარს შეადგენს, — განაცხადა სერგეენკომ.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ განუცხადა, რომ ხუდონჰესის მშენებლობისთვის ნებართვის აღების ვადამ 2014 წლის 1 მარტამდე გადაიწია.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობასა და მშენებელ კომპანია „ტრანსელექტრას“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში გარკვეული ცვლილებები შევიდა.

— პირველი, გავაკეთეთ ის, რომ მორატორიუმი, რომელიც 3 თვით იყო გამოცხადებული, კომპანია მორატორიუმში გამოგვყავს და მშენებლობის ნებართვის აღების გადავადება 2014 წლის 1 მარტამდე მოხდა, — განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე, უკავშირდება თუ არა ეს არასამთავრობოებისა და ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მინისტრის თქმით, ეს რეკომენდაციებს არ უკავშირდება.

— ეს არის მორატორიუმი, რომელიც გამოცხადებული იყო ჩვენი და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ იმ მიმართულებით, რომ ხელშეკრულება, რომელიც 2011 წელს მთავრობასა და ამ კომპანიას შორის იყო დადებული, შეგვესწავლა, გაგვეგო ამ ხელშეკრულების დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოთქმული იყო შენიშვნები იმ ჯგუფის მიერ, რომელიც მუშაობდა. ჩვენ ყველა ეს შენიშვნა კომპანიას მივაწოდეთ და გათვალისწინებულ იქნა ახალ ხელშეკრულებაში. კომპანიამ უნდა მოამზადოს გარემოზე ზე-




მოქმედების შეფასება, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს ჩაბარდება და შემდეგ სამინისტრო მისცემს ან დადებით ან უარყოფით შეფასებას და სამშენებლო ნებართვები ან გაიცემა, ან არა, — განაცხადა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მთავრობისთვის შეთავაზებულ დასაქმების ოთხპუნქტიან კონცეფციას არასერიოზულად მიიჩნევს.

— ძალიან კარგად ვიხილეთ 9 წლის განმავლობაში მათი დასაქმების პროგრამები თუ როგორი იყო. ასე რომ, არასერიოზულად ვთვლი, — განაცხადა კახი კალაძემ.

ხელისუფლებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ეკონომიკური სტაბილიზაციის მიზნით ოთხ ახალ ინიციატივას სთავაზობს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე მთავრობას მოუწოდა, ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო, როგორც დეპუტატი აცხადებს, გადადგას სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები.

„ნაციონალური მოძრაობის“ შეთავაზებას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გამოეხმაურა.

— „ნაციონალური მოძრაობა“ გვპირდებოდა, რომ 2012 წლის იანვარში საშემოსავლო გადასახადი იქნებოდა უკვე დაბალი, მაგრამ არ შეამცირა და, ნაცვლად იმისა, რომ გადასახადი შეგვემცირებინა, ჩვენ შემოვიღეთ დაუბეგრავი მინიმუმი. ამ თემის გადახედვას აღარ ვაპირებთ. „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა 9 წელი იმისთვის, რომ განეხორციელებინათ ის, რაზეც დღეს საუბრობენ, მეტიც, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს ხელშეკრულება არ დადებულიყო. ეს იყო გაჯიუტება ანტიმონოპოლიურ სამსახურთან დაკავშირებით, ეს იყო გაჯიუტება შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, ამიტომ „ნაციონალების“ მხრიდან ამ თემით აპელირება, უბრალოდ, მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობაა. დიდი იმედი გვაქვს, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ვილნიუსის სამიტზე მნიშვნელოვანი პროგრესი გვექნება. ვურჩევ „ნაციონალურ მოძრაობას“, მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას თავი დაანებოს. მათ ჰქონდათ საკმარისი დრო, ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების მიმართულებით ერთი პოზიტიური ნაბიჯი მაინც გადაედგათ, მაგრამ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქართველო ევროპას დაშორებოდა, — განაცხადა ხადურმა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეთავაზებულ კონცეფციას არ გაიზიარებს.

— ჩვენ გვაქვს განვითარების ჩვენი პოლიტიკა და ამ გეგმას მივყვებით. „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა 9 წელი იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკაში გარდატეხა მოეხდინა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მათი პოლიტიკა ვერ იყო ისეთი, როგორიც საქართველოს სჭირდებოდა. მე ვფიქრობ, ამ კუთხით ჩვენი მიდგომა სწორია. ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დაჩქარების თხოვნას ვერ დავეთანხმებით, რადგან შეხსენება ნამდვილად არ გვჭირდება. ჩვენ ყოველდღიურად ვართ ამ საქმით დაკავებული. რაც შეეხება გადასახადების თემას, გადასახადების სიმცირით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია. არა მგონია, საჭიროება იყოს გადასახადების დაწევის, რადგან ძალიან ბევრი სოციალური ხარჯი დაგვრჩება დაუფინანსებელი, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ასევე გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მერიისთვის გადაცემა შენობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე გადაწყდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობაში ადგილობრივი მერია განთავსდება.

— მე ვიტყოდი, რომ ეს შენობა ძალიან რთულია და ზუსტად აქედან გამომდინარე იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება, — განაცხადა კვირიკაშვილმა, თუმცა მინისტრს არ დაუკონკრეტებია, ტენდერით მიიღო მერიამ აღნიშნული შენობა თუ პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა.

გუშინ ასევე პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვარშავის საფონდო ბირჟასთან თანამშრომლობას გეგმავს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავად განუცხადა.

— კაპიტალის ბაზრის გამდიდრების საკითხი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. ჩვენთვის ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან. ვარშავის ბირჟა არის ერთ-ერთი დინამიკური ევროპაში და ჩვენ ვთვლით, რომ მათთან მოლაპარაკებები საქართველოს წაადგება. ივნისის დასაწყისში დაგეგმილია მოლაპარაკებები და შეხვედრები ვარშავაში. იქ გაიმართება ე.წ. აიპიო სამიტი, რომელსაც დავესწრებით და კონკრეტული შედეგებიც ამის შემდეგ გვეცოდინება. ჩვენი მიზანია საქართველოს საფონდო ბაზრის მაქსიმალური ინტეგრირება აღმოსავლეთ პლატფორმასთან, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტში აგვისტოს ომის შემსწავლელი საგამოძიებო კომისია შეიქმნა.

ამ ფაქტის კომენტირება გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებმა მაია ფანჯიკიძეს სთხოვეს.

# მთავრობა საბჭოთა ანაბრების დაბრუნებას გეგმავს

ნათია ხურცილავა



გაისტუმრებს თუ არა ივანიშვილის ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეების ვალს? საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოქალაქეების მიმართ აღებული ვალდებულების შესრულებას, როგორც ჩანს, ივანიშვილის ხელისუფლება აპირებს. საუბარია ანაბრების დაბრუნებაზე, რადგან ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ანაბრების საკითხზე სერიოზულად ვმუშაობთო.

შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება რამდენიმე მთავრობის ცვლილების შემდეგ მოქალაქეებისთვის ანაბრების დაბრუნებას?

როგორც ექსპერტები აცხადებენ, ანაბრების საკითხზე მუშაობისას უმთავრესი ამოცანა ანაბრების რეალური მოცულობის დადგენაა.

მთავრობაში აცხადებენ, რომ ხელისუფლება ანაბრების საკითხთან დაკავშირებით მუშაობას იწყებს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც ანაბრების მოცულობას დაადგენს.

— საუბარია ინფლაციური პროცესების განვითარებამდე არსებულ მდგომარეობაზე. შემდგომ განიხილება, თუ რა რესურსებით შეიძლება ამ ვალის გასტუმრება. პროცესი იქნება დროში გაწერილი. ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, რა დრო, რამდენი წელი დასჭირდება ამ ვალდებულების მომსახურებას. ანაბრების დაბრუნება ეტაპობრივად მოხდება, თუმცა, ვფიქრობ, უკვე წელსვე ჩვენ შევძლებთ წარმოვადგინოთ რეალური მონახაზი, თუ რა შეიძლება შევთავაზოთ მოსახლეობას ამ საკითხის მოსაგვარებლად, — აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, ანაბრების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია მუშაობს იმისთვის, რომ ამ მიმართულებით ქვეყნის საშინაო ვალი დათვალოს.

როგორც ხადურმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, ჯერ საბჭოთა ანაბრების დაბრუნებაზე საუბარი ნაადრევია.

# კოტე კუბლაშვილი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილება

ნათია ხურცილავა

საერთო სასამართლოების შესახებ კანონი შეიძლება კიდევ ერთი მიზეზი გახდეს პარლამენტის მობილიზებისა. უკვე მეორედ მოუწევს პარლამენტს, პრეზიდენტის ვეტო დაძლიოს.

ჟურნალისტებმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარ კონსტანტინე კუბლაშვილს ჰკითხეს: იხელმძღვანელებს თუ არა უზენაესი სასამართლო ახალი კანონით ვეტოს დაძლევის შემთხვევაში?

კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, თუ პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს დაძლევს, უზენაესი სასამართლო მზადაა, ახალი კანონით იხელმძღვანელოს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, პრეზიდენტს კანონპროექტზე ვეტოს დადების უფლებას კონსტიტუცია აძლევს.

— ეს არის პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება, რომ განურჩევლად იმისა, თუ რას ფიქრობს უზენაესი სასამართლო, პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტს უფლება აქვს, ვეტო დაადოს შესაბამის კანონს, თუ ასე ჩათვლის საჭიროდ. ამიტომ ვერც ერთი ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერც სასამართლო, ვერც აღმასრულებელი ხელისუფლებიდან და ვერც საკანონმდებლო ხელისუფლება პრეზიდენტის მიერ ამ უფლების გამოყენებაში ვერ ჩაერევა, — განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით, საბოლოო ვარიანტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული.

კონსტანტინე კუბლაშვილმა პრესას განუცხადა, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონთან დაკავშირებით მან კონსულტაციები პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან გამართა.

— შემოთავაზებულ საბოლოო ვარიანტში, რომელზეც მეც მქონდა კონსულტაციები პრემიერთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან, ნაწილობრივ შეესაბამება ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. თუკი ასე-



თი პრეცედენტი იქნება, რომ ამ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ავტომატურად ახალი ხელისუფლების მოსვლის გამო სასამართლოში შეიცვლება რაღაც ან ვიღაც, ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება და ყოველი ახალი ხელისუფლება სასამართლოში ისევ შეცვლის ვიღაცებს. აი, ამის არდაშვებაზე იყო საუბარი, რაც ვენეციის კომისიამ ასევე გაიზიარა. თუმცა ვენეციის კომისიამ ასევე თქვა, რომ გარდამავალ პერიოდში შეიძლება იყოს რაღაც გამონაკლისები და ამ გამონაკლისებით შეიძლებოდა ნაწილობრივ ცვლილებები, მაგრამ ახლა ნაწილობრივი კი არა, თითქმის სრული ცვლილებებითაა წარმოდგენილი, — აღნიშნა კუბლაშვილმა.

# ნარკორეალიზატორი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, წარსულში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სხვადასხვა დანაშაულისთვის ორჯერ ნასამართლევი, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მცხოვრები, 1972 წელს დაბადებული ალახიარ ა-ვი ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ნიუსპრესს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, მისი ავტომანქანის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა ორ შეკვრად დაფასოებული 0,7925 გრამი, „ჰეროინი“-ს შემცველი ნარკოტიკული საშუალება და ერთი შეკვრა -3,5 გრამი „ოპიუმი“ ამოიღეს. შსს-ს ინფორმაციითვე, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალახიარ ა-ვი ნარკოტიკულ ნივთიერებებს სისტემატურად ყიდდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-რეალიზაციის) მიმდინარეობს, რაც 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

# საქართველოს ექსპორტმა იანვარ-მარტში 565 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა

**„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2013 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2.14 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 5%-ით ნაკლებია.**

**საქართველოს ექსპორტმა იანვარ-მარტში 565 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5%-ით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო იმპორტმა 1.58 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 8%-იანი კლებაა 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.**

შორენა გონგლაძე

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის იანვარ-მარტში 1.01 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14.7%-იანი კლებაა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვამ 2013 წლის იანვარ-მარტში 306.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტმა თურქეთიდან 269 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა საქართველოდან თურქეთში მხოლოდ 37.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, რომელთან სავაჭრო ბრუნვამაც 296.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; უკრაინა – 157.3 მილიონი აშშ დოლარი; ჩინეთი – 156 მილიონი აშშ დოლარი; რუსეთი – 121.3 მილიონი აშშ დოლარი; გერმანია – 104.8 მილიონი აშშ დოლარი; აშშ – 102.6 მილიონი აშშ დოლარი; სომხეთი – 84 მილიონი აშშ დოლარი; რუმინეთი – 70.9 მილიონი აშშ დოლარი და ბულგარეთი – 66.2 მილიონი აშშ დოლარი.

2013 წლის იანვარ-მარტში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.8% შეადგინა – 140.4 მილიონი აშშ დოლარით, რაც 33.1%–იანი ზრდაა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შემდეგ მოდის ფეროშენადნობი დ 67.7 მილიონი აშშ დოლარით იანვარ-მარტში (12%-იანი წილი მთლიან ექსპორტში); აზოტოვანი სასუქები დ 36.3 მილიონი აშშ დოლარით (6.4%); თხილი დ 18 მილიონი აშშ დოლარით (3.2%); სპირტი ეთილის არადენატურირებული – 17.6 მილიონი აშშ დოლარით (3.1%); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული დ 16.5 მილიონი აშშ დოლარით (2.9%); სპილენძის მადნები და კონცენტრატები დ 14.9 მილიონი აშშ დოლარით (2.7%).

მინერალური წყლების ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 2.8% შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35.5%-ით გაიზარდა და 15.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ქართული ღვინის ექსპორტი 34%-ით გაიზარდა და პირველ კვარტალში 13.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შედეგად, მისმა წილმა ქვეყნის მთლიან ექსპორტში 2.4% შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2013 წლის პირველ კვარტალში ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო 174 მლნ აშშ დოლარი (11%-იანი წილი მთლიან იმპორტში იანვარ-მარტში); სხვა იმპორტირებული საქონლის მსგავსად (გამონაკლისს წარმოადგენს მობილური ტელეფონები, რკინიგზის სამგზავრო ვაგონები და ხორცი), იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მოცულობაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა. მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა 141.7 მლნ დოლარი შეადგინა; ნახშირწყალბადები – 102.5 მლნ აშშ დოლარი; სამკურნალო საშუალებები – 55.3 მლნ აშშ დოლარი; სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის – 27.07 მლნ აშშ დოლარი (22.6%-იანი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან); რკინიგზის სამგზავრო ვაგონები 27.01 მილიონი აშშ დოლარი; ხორბალი – 22.6 მლნ აშშ დოლარი; სიგარეტი 19.3 მლნ აშშ დოლარი; ხორცი დ 16.69 მლმ აშშ დოლარი; სატვირთო ავტომობილები 16.62 მლნ აშშ დოლარი.

# „ქართული სული“ პატრიარქს ეძღვნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩვენც ვცდილობთ ის იყოს გამორჩეული და მრავალფეროვანი. ის მოიცავს როგორც დედაქალაქს, ასევე საქართველოს რეგიონებს. წელს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალციხე, რადგან ვიცით, რომ პატრიარქმა 2013 წელი თამარ მეფის წლად გამოაცხადა და ჩვენ ვატარებთ გრანდიოზულ ღონისძიებას ისტორიულ მესხეთში, – განაცხადა ფესტივალის დამფუძნებელმა ია მაქაცარიამ.

„ქართული სულის“ ორგანიზატორები ფესტივალის მიმდინარეობისას ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამორჩეულ წარმომადგენლებსაც დააჯილდოვებენ.

– ეს იდეა თავად ქართულმა სულმა გვიკარნახა. თავდაპირველად ფესტივალი სწორედ ჩვენს ფოლკლორზე, სიმღერაზე და ქორეოგრაფიაზე იყო გათვლილი, მაგრამ შემდეგ ფესტივალის პროგრამაში გაჩნდა ქართული სულით გაჯერებული ხელოვნების სხვადასხვა დარგები – ქართული მწერლობა, სახვითი ხელოვნება, დიდი წინაპრები. ფესტივალი ტარდება უკვე მეათე წელია. ღონისძიებები თვეზე მეტ პერიოდზეა გათვლილი და მასში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულების საღამოები. ჩვენი ფესტივალის ტრადიციას უნდა დავუჭიროთ მხარი და ახალგაზრდები ქართული კულტურის პოპულარიზაციაში აქტიურად ჩავრთოთ. რეგიონებში ჩასვლის ტრადიციას ჩავუყარეთ საფუძველი რამდენიმე წლის წინ და ამას არც წელს დავარღვევთ. 28-ში გვექნება დიდი ვაჟას მშობლიურ სოფელში ფესტივალის გახსნა და ფესტივალის ეგიდით წელს სულ 4 ღონისძიებას ჩავატარებთ, – აღნიშნა ფესტივალის დირექტორმა ზურაბ ჩახიძემ.

ფესტივალი „ქართული სული“ 2005 წლიდან ყოველ გაზაფხულზე ტარდება. მისი მიზანი საზოგადოებაში ქართული კულტურის პოპულარიზაციაა.

– ყველაზე მნიშვნელოვანია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული კონფერენცია და ქართული სულის ზეიმი მესხეთის უნივერსიტეტში. ამ დღეს მთელი საქართველო ჩავა მესხეთში და თამარ მეფის სიყვარული ყველას კიდევ ერთხელ გაგვაერთიანებს, – განაცხადა თამაზ ტყემალაძემ.

**ეკა ირემაშვილი**

# ირინა იმერლიშვილი: „ვეტოს აუცილებლად დავძლევთ“

შორენა გონგლაძე



**„სასამართლოების შესახებ კანონზე პრეზიდენტის ვეტო მიუთითებს იმაზე, რომ პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლესი სასამართლო ჯიბეში ჰყავს და არ უნდა მისი გაშვება“. – ეს განცხადება, უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ირინა იმერლიშვილმა გუშინ, „პრაიმ-ტაიმის“ პრეს-კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვეტო დაადო სასამართლოებთან დაკავშირებულ ორ კანონპროექტს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმასთან და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებულ ცვლილებებს, რომლებიც პარლამენტმა 5 აპრილის სხდომაზე მიიღო და რომლებსაც მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა ეწინააღმდეგებოდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალმა უფროსმა ანდრო ბარნოვმა ვეტოს დადების საფუძვლად დაასახელა ის გარემოება, რომ პარლამენტმა „სრულიად უგულებელყო“ ვენეციის კომისიის „ერთადერთი ყველაზე პრინციპული“ რეკომენდაცია საბჭოს წევრობის უწყვეტობის თაობაზე.

როგორც იმერლიშვილმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობა ვეტოს დაძლევას აპირებს.

– საერთო სასამართლოების შესახებ კანონზე პრეზიდენტის ვეტო მოულოდნელი არ ყოფილა. პრეზიდენტმა პროცედურული ომი გამოუცხადა საქართველოს პარლამენტს. ამ შენიშვნებით დასტურდება, რომ ჩვენს პრეზიდენტს, ყოფილ ხელისუფლებას, იუსტიციის უმაღლესი სასამართლო ჰყავს ჯიბეში და არ უნდა მისი გაშვება. ჩვენ კიდევ ერთ ვეტოს ველით, ამის გარდა და ამასაც დავძლევთ. თუ პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს, პარლამენტის თავმჯდომარე გააკეთებს ამას. იუსტიციის საბჭო სრულიად დეპოლიტიზებული იქნება და ის არც უმრავლესობის და არც უმცირესობის წარმომადგენლები არ იქნებიან“, – აცხადებს იმერლიშვილი, მისივე თქმით, ეს საკითხი შეთანხმებული იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან.

– მე სრული პასუხისმგებლობით ვიძახი და კოტე კუბლაშვილი არ უარყოფდა დღემდე, რომ საერთო სასამართლოების შესახებ ინიციატივა იუსტიციის მინისტრის მხრიდან შეთანხმებული იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. გარდა ამისა, ვენეციის კომისიის დასკვნა ამ კანონპროექტში სრულად იქნა გათვალისწინებული“, – აცხადებს იმერლიშვილი.

ირინა იმერლიშვილი თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მისი მეუღლის კომპანიის მონაწილეობის საკითხს გამოეხმაურა.

როგორც იმერლიშვილმა განაცხადა, მისი მეუღლის კომპანია სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსიდან ორ ლოტში იღებდა მონაწილეობას. პირველი ლოტიდან კი იმის გამო მოიხსნა, რომ ინფორმაციის ატვირთვა დააგვიანდა.

– თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი ორი თვის წინ. ამ ტენდერში კი მონაწილეობას ორ ლოტში იღებდა ის კომპანია, სადაც ერთ-ერთ დირექტორად მუშაობს ჩემი მეუღლე. პირველი ლოტიდან ის იმის გამო მოიხსნა, რომ ინფორმაციის ატვირთვა დააგვიანდა. რაც შეეხება მეორე ლოტს, ამაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს კონკურსი და ღია კონკურსში მონაწილეობა არ ნიშნავს კორიფციულ გარიგებებში მონაწილეობას. ძალიან კარგი იქნება, თუ ის გაიმარჯვებს, იმიტომ, რომ შეთავაზებული აქვს დაბალი თანხა, აქედან ჩემი მეუღლე მიიღებს არა წილს, არამედ ხელფასს“ , – აცხადებს იმერლიშვილი, მისივე თქმით, პარლამენტში ცოტა ხნის წინ, წინა ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოქვეყნების შემდეგ საპასუხო რეაქციას ელოდა.

– ყოველთვიურად სხვადასხვა მომსახურებაზე ასობით ტენდერი ცხადდება. ძალიან კარგია, რომ ტენდერები ტარდება ღიად – ელექტრონული სახით. ყველას კარგად ახსოვს, როცა წინა ხელისუფლების პირობებში როგორც თავდაცვის სამინისტროში, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებებში მრავალმილიონიანი კონტრაქტები ყოველგარი ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკებით იდებოდა. სწორედ ეს იყო კორუფცია– აცხადებს იმერლიშვილი.

# რა ხარვეზები აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას?

მერი ნამორაძე

ციხის საერთაშორისო რეფორმამ, რომელიც სასჯელაღსრულებისა და სისხლის სამართლის რეფორმებზე მუშაობს მსოფლიო მასშტაბით, გუშინ შსს-ს, იუსტიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს პოლიციისა და პატიმრობის დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ მიმოხილვა და რეკომენდაციები წარუდგინა. შეხვედრაზე საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა იქნა განხილული არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით. კვლევა ეხებოდა როგორც კანონმდებლობას, ასევე პრაქტიკას. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში აქცენტი გაკეთდა განრიდების სისტემაზე, რომელიც, მართალია, მუშაობს, მაგრამ პრაქტიკაში არ არის ბოლომდე რეალიზებული. ასევე ყურადღება გამახვილდა სარეაბილიტაციო პროგრამების გამრავალფეროვნებაზე, რათა გაადვილდეს არასრულწლოვან პატიმართა შემდგომი რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია.

2012 წლის 1 აპრილის მონაცემებით, საქართველოში თავისუფლება აღკვეთით მსჯავრდებული ბავშვების რაოდენობა 135-ს შეადგენდა, ხოლო პატიმრობაში იმყოფებოდა 7 ბავშვი. ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულის უმრავლესობა საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული – ქურდობა, ძარცვა და ასე შემდეგ. ამჟამად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად ქვეყანაში 14 წელია დადგენილი. არასრულწლოვანთა მიმართ პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პატიმრობის დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების ფაქტების შესახებ სერიოზული ბრალდებები არსებობდა. ამის მაგალითია 2012 წლის აგვისტოს არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მომხდარი ამბოხი, რომლის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობა დასახელდა. მტკიცებულებას წარმოადგენდა ის მასალაც, რომელიც 2012 წლის 18 სექტემბერს გავრცელდა სატელევიზიო არხებით და ციხის თანამშრომლის მიერ არასრულწლოვანის მიმართ დამამცირებელ დამოკიდებულებას ასახავდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს ამ სფეროში რეფორმის გატარების მიზნით მთავრობამ მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-13 წლისათვის, ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ცალკე სისტემა და ბავშვები მიიჩნევიან ცალკეულ ჯგუფებად მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოიცავს ცალკე სექციებს დებულებებით მათ შესახებ.

როგორც აღინიშნა, დღეისათვის საქართველოში ცოტაა ისეთი სააგენტოები თუ ორგანიზაციები, რომლებიც ბავშვს განრიდების ღონისძიებების ფარგლებში გარკვეულ სერვისს მიაწვდიან. აქედან გამომდინარე, პრობლემას წარმოადგენს განრიდების პროგრამისგან პრაქტიკული შედეგის მიღება, რომელმაც შეიძლება პროგრამა წარუმატებელი გახადოს. რაც მთავარია, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს ბავშვებისათვის პატიმრობის არიდებაზე, რაც შეამცირებს ამ დაწესებულებებში ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა რიცხვს. ციხის საერთაშორისო რეფორმის რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ საქართველოში უნდა შემუშავდეს ისეთი კანონმდებლობა, რომლის მეშვეობითაც დაწესდება შეზღუდვები პატიმრობის შეფარდებაზე ისე, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში და რაც შეიძლება მოკლე ვადით ისეთ დროს, როცა არსებობს მიმალვის რისკი ან ბავშვი წარმოადგენს საშიშროებას საკუთარი თავის ან სხვებისთვის.

უნდა მოხდეს ასევე პოლიციაში ბავშვის დაკავების ვადის ლიმიტის შემცირება 72 საათიდან 24 საათამდე. პატიმრობაში ყოფნის მაქსიმალური ხანგრძლივობა კი უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 6 თვის ვადით, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პოლიციის მიერ ბავშვის დაკავებისას მის მიმართ ძალადობის პრევენციისთვის უნდა ჩამოყალიბდეს ბავშვის უფლებათა საკითხებში სპეციალიზებული პოლიციის ოფიცრის სრულყოფილი სისტემა. ბავშვებს, მოთხოვნის შესაბამისად, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ პოლიციის განყოფილებაში სამედიცინო მომსახურებაზე. ამასთან, კანონმდებლობაში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომელიც ცალსახად მოითხოვს დაკავების ან თავისუფლების შეზღუდვის ყველა ეტაპზე ბავშვის განცალკევებას ზრდასრულებისგან, მათ შორის სასამართლოში თუ სხვა დაწესებულებებში ტრანსპორტირების დროს.

„ახალმა თაობამ“ რეკომენდაციების შესახებ კომენტარი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის მოადგილე სოფიო ჯაფარიძეს სთხოვა:

– მოხარულნი ვართ, რომ დღევანდელ შეხვედრას ვესწრებით. შესაძლებლობა მოგვეცა, წარმოგვედგინა ინფორმაცია იმ პოზიტიური ცვლილებებისა და რეფორმების შესახებ, რომლებიც ამ მიმართულებით უკვე გატარდა. მაგალითად, როგორიცაა სასჯელის ინდივიდუალური გეგმის დანერგვა არასრულწლოვანებთან მიმართებით, პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საბჭოს ზეპირი მოსმენების განხილვა და იმ ინფორმაციის სრულფასოვანი მომზადება, რაც ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემს საბჭოებს, ასევე ახალი დაწესებულების გახსნა, რომელიც გარემონტდა და აბსოლუტურად მორგებულია არასრულწლოვანთა საჭიროებებს. ვგეგმავთ ასევე ახალგაზრდა დამნაშავეებისათვის ცალკე დაწესებულების გახსნას. ასაკობრივი ზღვარი იქნება 18-დან 21 წლამდე ან 23-დან 25 წლამდე. ამასთან დაკავშირებით შეთანხმებული პოზიცია ჯერ არ არსებობს. პირი, რომელიც აღწევს სრულწლოვანობის ასაკს, ხდება 18 წლის, კანონის თანახმად, გადადის სრულწლოვანთა დაწესებულებაში და ხშირია შემთხვევები, როცა იგი ექცევა სხვადასხვა სუბკულტურული გავლენების ქვეშ. ასე რომ არ მოხდეს, ეს მოწყვლადი ასაკობრივი ჯგუფი გვინდა მოვათავსოთ ცალკე დაწესებულებაში, რათა წყალში არ ჩაიყაროს ის შრომა, რაც მანამდე იყო გაწეული.

– თუ არის ისეთი რამ რეკომენდაციებში, რაც მიუღებელია თქვენთვის და რასაც ვერ გაითვალისწინებს ამ ეტაპზე სასჯელაღსრულების სამინისტრო?

– ვფიქრობ, რეკომენდაციებში შეუსრულებადი არაფერია, სასჯელაღსრულების სამინისტროს არა აქვს პრინციპული წინააღმდეგობა, რომ რეალურად ეს რეკომენდაციები შეასრულოს. ყველაფერი მაინც ისევ მიდის ფინანსურ შესაძლებლობასთან. შეიძლება, ტექნიკურად დაბრკოლდეს, რადგან წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია და კონკრეტული ღონისძიებები დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიებას შეიძლება საჭიროებდეს. პრინციპულად და შინაარსობრივად ყველა რეკომენდაცია ჩვენთვის მისაღებია.

# „ახალი ქართული ლეგენდა“ — შოუ სამაიასგან

**ეკა ირემაშვილი**

26 აპრილს დიდ საკონცერტო დარბაზში „სამაია“ წარმოადგენს ახალ შოუს სახელწოდებით „ახალი ქართული ლეგენდა“, რომელიც ქართული ცეკვის მრავალფეროვნებას და მის ფენომენს მაყურებელში კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის.

შოუს სახელწოდებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე გამოიწვია ანსამბლის „ერისიონი“ სამხატვრო ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის გაღიზიანება, რადგან თავის დროზე „ქართული ლეგენდა“ სწორედ „ერისიონის“ შოუს ერქვა, მაშინ, როდესაც ანსამბლთან ამერიკელი პროდიუსერი მუშაობდა. მოგვიანებით ამ პროდიუსერმა სწორედ „სამაიასთან“ გადაწყვიტა მუშაობა და მათთან ერთად გაკეთებულ პროექტსაც „ახალი ქართული ლეგენდა“ დაარქვა, რის გამოც, ჯემალ ჭკუასელის მტკიცებით, უცხოეთში გასტროლზე ჩასული სამაია მაყურებელს „ერისიონი“ ჰგონია.

**ჯემალ ჭკუასელი:**

— „ქართული ლეგენდა“ როგორც ასეთი ჩვენ არ გვეკუთვნის, ეს ეკუთვნოდა პროდიუსერს, რომელმაც შექმნა ჩვენს ანსამბლთან თავისი სახსრებით და თავისი ფულით და თვითონ დაარქვა ეს სახელი. ჩვენ არ გვეკუთვნის ეს სახელი, მაგრამ ჩვენთან არის შექმნილი „ქართული ლეგენდა“ და ნუ იტყუებიან ეგენი, რომ მათთან არის შექმნილი! უნდათ შეაცდინონ ხალხი და თქვან, რომ მათთან არის შექმნილი, არადა, „ქართული ლეგენდა“ შეიქმნა „ერისიონში“.

***— ამერიკელი პროდიუსერი „ერისიონიდან“ წასვლის შემდეგ „სამაიასთან“ მუშაობდა?***

— დიახ. ცოტა ხანს თანამშრომლობდა მათთან და ახლა მგონი აღარ მუშაობს მაგათთან, რა დამოკიდებულებაა მაგათ შორის არ ვიცი. მისცა, მიყიდა ეს სახელი თუ რა ქნა, წარმოდგენა არ მაქვს.

***— თავის დროზე რატომ არ ისარგებლეთ საავტორო უფლებებით?***

— ჩვენ არ გვქონდა ამის უფლება, ეს სახელწოდება „ქართული ლეგენდა“ იმ უცხოელი პროდიუსერის საკუთრება იყო. საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, ჩვენთან ცოტა პრობლემებია. არ ვიცნობთ კარგად კანონებს და საკითხებს, რისი უფლება გვაქვს და რისი — არა. ძალიან გლეხურად რომ ვთქვათ, იმ კაცმა მოიტანა ფული და თქვა, აჰა, ჩემი ფული, ამით ვყიდულობ ამ სახელს და თქვენ გაგიკეთებთ რეკლამას და გაგიყვანთ საზღვარგარეთო.

***— ახლა „ერისიონი“ რამდენად ზარალდება ამ ყველაფრით?***

— ზარალდება იმით, რომ რეკავენ და ჰგონიათ, რომ ისინი ჩვენ ვართ. ამ ბოლო დროს აღარ დაურეკავთ, ალბათ მიხვდნენ ტელევიზიის, თქვენი საშუალებით, რომ ის სულ სხვა ქართული ლეგენდაა და ჩვენ სულ სხვა. იმ ამერიკელ პროდიუსერს შეუძლია ეს სახელი ყველგან გამოიყენოს, თუმცა უცხოეთში ვერ გამოიყენებთ ამ სახელს, მაგრამ თუ იქაც იქნებიან ქართველები, მაშინ კი. სამწუხაროდ, ქართველები ყველგან არიან უკვე, მთელს მსოფლიოში, ისეთი საზიზღრობა ხდება, გაგიჟდებით.




***— რას გულისხმობთ?***

— შეიკრიბება სამი კაცი, ჩადებენ ჩემოდანში ჩოხას, მიდიან კონცერტების ჩასატარებლად და გვიფუჭებენ სახელს. ხშირად უთქვამთ ჩვენთვის, არა, არა თქვენ კარგი ანსამბლი იყავით, მაგრამ წამხდარხართო. მერე ჩვენ ვუმტკიცებთ, რომ ჩვენ ისევ ფორმაში ვართ. უცხოეთში რომ გავდივართ, კი ხვდებიან, რომ ეშლებათ, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია გაიგოს?

***— ე.ი. რაღაც ეტაპზე თავიდან გიწევთ ყველაფრის დამტკიცება?***

— თავისთავად ცხადია. ჩვენ 98-99 წელს არაფრის საშუალება არ გვქონდა. გამოჩნდა ეს კაცი, რომელმაც გვითხრა შევფუთავ ამ ხელოვნებას და აგვიტანო. მართლაც გაიტანა უცხოეთში და საკმაოდ წარმატებითაც, დახარჯა უამრავი სახსრები, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური. სახელიც მაშინ მისი იყო, ეს მსოფლიოში აპრობირებული ამბავია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ფოლკლორი არის უანალოგო პლანეტაზე და ეკუთვნის მარტო ქართველებს. მე თუ მკითხავთ, ჩვენი ქართული კულტურის დაცვის კანონიც უნდა არსებობდეს, მაგრამ არავითარი კანონი არ არსებობს, ისიც ავიწყდება ყველას, რომ უანალოგო ხელოვნებას, უანალოგო კანონები სჭირდება. რა ვიცი, აქამდე ვერ შევაგნებინე ვერავის, ახლა მგონი, მივიწევთ წინ და ვნახოთ, რა იქნება. ძნელია ეს ყველაფერი იმდენად, რამდენადაც თვითონ ფოლკლორს ვერ ჩავაჯენთ ჩარჩოებში, მაგრამ ქართულ ფოლკლორს ჩავაჯენთ საერთაშორისო არენაზე კანონის ჩარჩოებში. მაგრამ თვითონ ფოლკლორს ვერა, რადგან ფოლკლორი იმისთვის არის, რომ უნდა განვითარდეს თავისით, მაგრამ ეს არის ქართული. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგან გვედავებიან, აგერ მეზობელი სომხები, რომ სიმღერები და ცეკვები ჩვენიაო. „ჩაკრულოზე“ გვედავებიან ჩვენიაო, ჩვენ ვიცინოთ და არაფერი მოვიმოქმედოთ და ეგენი თავის საქმეს კი აკეთებენ.

სანამ ამერიკელი პროდიუსერი სახელწოდება „ქართულ ლეგენდას“ სხვა ანსამბლთან მუშაობისას ახალ შოუს დაარქმევს, 26 აპრილს სამაია პირველად საქართველოში წარმოადგენს შოუს, რომელმაც მათი თქმით, მსოფლიო დაიპყრო. სამაია — ახალი ქართული ლეგენდა, უყურეთ ქართული ფოლკლორის ახალ თაობას, — მოუწოდებენ კონცერტის ორგანიზატორები მაყურებლებს. ბილეთების გაყიდვა დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში 16 აპრილიდან დაიწყო და მათი ფასი 10-30 ლარია.

# ხელოვნების მუზეუმში ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრებს გამოფენენ

**ეკა ირემაშვილი**

26 აპრილს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნება.

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა განაცხადა, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება 100-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი.

— მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის მრავალფეროვანი მხატვრული მემკვიდრეობა ხელოვანს რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებად ახასიათებს. მისი შემოქმედება პლასტიკისა და დინამიკის, რეალობისა და ირეალურობის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. ორიგინალური ხელწერის წყალობით, ვლადიმერ კანდელაკი ყოველთვის ახერხებდა პუბლიკის გაოცებას. 1990 წლიდან მისი არაერთი ნამუშევრის ექსპოზიცია მოეწყო ქართულ და უცხოურ საგამოფენო სივრცეებში. მათ შორის, თბილისში, ვაშინგტონში, ფილადელფიაში, ატლანტაში — ეს იმ ქალაქების არასრული ჩამონათვალია, სადაც მხატვრის პერსონალური გამოფენები მოეწყო.

წლების განმავლობაში მხატვრის შემოქმედება, მისი ვირტუოზული შესრულების ტექნიკა უფრო და უფრო იხვეწება და ახალი ექსპერიმენტების ძიებაშია. ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში 12 მაისამდე დარჩება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)**

# რეზო ჭეიშვილი 80 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ალმანახში „პირველ სხივი“ და ახალგაზრდულ ჟურნალში „ცისკარი“, რასაც მოყვა წლების განმავლობაში აქტიური მუშაობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რედაქტორად, სასცენარო კოლეგიის წევრად, შემოქმედებითი გაერთიანების წევრად და ერთ-ერთ ხელმძღვანელად, პარალელურად მოღვაწეობდა ჟურნალებში „ცისკარი“ და „საუნჯე“. მოგვიანებით მწერალმა ალმანახის „განთიადი“ მთავარი რედაქტორობაც შეითავსა მშობლიურ ქალაქ ქუთაისში. ალმანახი გადაკეთდა ჟურნალად და გამოდიოდა რეგულარულად, სოლიდური მოცულობითა და დიდი ტირაჟით.

იუბილარი მწერალი თავმჯდომარეობდა რუსთაველის საზოგადოებას, იმ წლებშივე დააარსა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური გაზეთი „მოწამეთა“, შემდგომში ილუსტრირებული ჟურნალი „მწვანეყვავილა“. უსახსრობის გამო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ზემოთ ნახსენები ორივე ორგანო დაიხურა. 20 წლის წინ საქართველოს მწერალთა ყრილობაზე არჩეულ იქნა მწერალთა კავშირის მდივნად, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. რეზო ჭეიშვილმა თავისი შესაძლებლობები თეატრშიც სცადა და ორი სეზონის განმავლობაში როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი უძღვებოდა ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის აკადემიურ თეატრს. ამავე დროს იგი არჩეული იყო მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატად. თუმცა საბოლოოდ მისი საქმე მაინც წიგნების წერა და მათი გამოცემა აღმოჩნდა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მას გამოქვეყნებული აქვს მხატვრული წიგნები — ტომეულები, კრებულები — მრავალათასიანი, მათ შორის, 60000-იანი ტირაჟებით, როგორც ქართულად, ასევე რუსულად და უცხო ენებზედაც. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია კინოსურათები, რომლებიც ასევე საკმაოდ პრესტიჟული პრემიების მფლობელები არიან. ელდარ შენგელაიას მიერ გადაღებულ ფილმს „ცისფერი მთები“ მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. რეზო ჭეიშვილს მიღებული აქვს რამდენიმე გამორჩეული ნაწარმოებისა და მთელი შემოქმედებისათვის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, საქართველოს სახელმწიფო პრემია. შარშან კი მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

**ეკა ირემაშვილი**

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამაჯანსაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ნახევარფინალისწინა პრესკონფერენციები

**26 აპრილს, სპორტის სასახლეში უეფას ფუტსალის ოთხთა ფინალი აიღებს სტარტს. ტიტულისთვის „იბერია სტარი“, „ბარსელონა“, „დინამო“ მოსკოვი და ალმატის „კაირათი“ იბრძოლებენ. ტურნირის წინ „ბარსელონასა“ და „კაირათის“ წარმომადგენლებმა მედიისთვის პრესკონფერენცია გამართეს.**

**მარკ კარმონა (ბარსელონა):**

– ორი დღეა თბილისში ვართ, რაც ვნახეთ ყველაფერი ძალიან მოგვეწონა. ძალიან კარგი დარბაზია, იმედია სავსეს ვნახავთ. დაუვიწყარი თამაშების ჩატარებას ვგეგმავთ. ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ საფეხბურთო კლუბ „ბარსელონასა“ და ფუტსალის „ბარსელონას“ მსგავსებაზე. კლუბ ბარსელონას მოთამაშეები ტექნიკურად გამართულები არიან. კარგი იქნება ამ მსგავსებას ფუტსალის „ბარსელონაშიც“ თუ ვნახავთ. როცა ახალგაზრდა ხარ ფუტსალი ყველაზე კარგია ახალგაზრდების განვითარებისთვის. ჩვენ შევეცადეთ ყველანაირად მოვმზადებულიყავით ამ ტურნირისთვის. გავეცანით „კაირათის“ შემადგენლობას. უდიდესი გამოცდილების ფეხბურთელები ჰყავთ. ზოგიერთს ლიგაშიც აქვს მონაწილეობა მიღებული. ჩამოყალიბებული გუნდია, რომელიც ნებისმიერს დიდ წინააღმდეგობას გაუწევს. ვფიქრობთ, რომ მზად ვართ იმისთვის, რომ შთამბეჭდავი მატჩი ჩავატაროთ. როცა შენს უკან შენი ქვეყანაა, ყველაფერი უნდა გააკეთო გამარჯვებისთვის. ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ. გუნდი ყველანაირად ეცდება რომ ისტორიაში შევიდეს და ზედიზედ მეორედ მოვიგოთ ტურნირი, თბილისში ამისთვის ვართ ჩამოსული. ყველაზე მნიშვნელოვანი ხვალინდელი თამაშია. ყველა ფეხბურთელი ოპტიმალურ ფორმაშია, მხოლოდ არი სანტოსია ტრავმირებული. რაც შეეხება „იბერია სტარს“, ისინი ჩვენი მოწინააღმდეგეები არ არიან, ამიტომ მათზე ბევრი ინფორმაცია არ გვაქვს.

**ანუარ ორაზბეკოვი (კაირათის ვიცე პრეზიდენტი):**

– პირველად ვარ საქართველოში. შთაბეჭდილებები ძალიან კარგია. სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. დარბაზი ვნახეთ, ძალიან კარგია, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ასეთი დარბაზისთვის ალბათ საბჭოთა პერიოდს უნდა გადავუხადოთ მადლობა. როგორც ვიცი, შემდგომში რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სასახლეს. ფინალში სუსტი გუნდი ვერ გადის, რადგან ამ ეტაპს მივაღწიეთ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წარმატებას მივაღწიეთ. გუნდში განხორციელებული ცვლილებები, იმედი მაქვს, შედეგის მოპოვებაში დაგვეხმარება. „ბარსელონა“ მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო გუნდია. მათ დიდი სპორტული კულტურა აქვთ. ჩვენ მათ თამაშზე ვსწავლობთ. დიდი ფეხბურთელები თამაშობენ, ასე ვიტყვით ბრაზილიისა და ესპანეთის გაერთიანებული გუნდია. ძლიერი მოწინააღმდეგეა.

**ფაუსტინო პერესი (დინამო მოსკოვი):**

– ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით მეტოქეზე, ამიტომ გარკვეული წინდახედულება გვმართებს. სანამ ჩემპიონობაზე დავიწყებთ ფიქრს, მანამდე კონკრეტულ თამაშზე ვფიქრობთ. როგორ ჩავატარებთ ეს არის მნიშვნელოვანი. მოსკოვში „იბერიას“ ყველა თამაში ვნახე, მაგრამ იმის შემდეგ მათ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს შემადგენლობაში, ამიტომ ახლა ვერაფერს გეტყვით. გუნდზე ასევე მოვიძიეთ ჩანაწერები. ერთადერთი რა ინფორმაციაც არ გვაქვს, ბოლო პერიოდში ჩატარებული თამაშებია. ფაქტია, რთული თამაში გველის.

**ალექსანდრ სარქისიანი (იბერია სტარი):**

– გუნდი მზად არის. ტურნირის წინ, ათი დღით ადრე ჩავუდექი „იბერიას“ სათავეში, ამიტომ რამე განსაკუთრებული ცვლილება არ იქნება. მეტოქე ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენ ქართველი გულშემატკივრის წინაშე ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოვიგოთ. აუცილებლად უნდა მოხვიდეთ ამ მატჩის სანახავად, რადგან ძალიან სანახაობრივი და დაძაბული იქნება. შანსები, რა თქმა უნდა, თანაბარია, ყველაფერი მოედანზე გამოჩნდება. ახალწვეულებს რაც შეეხება, სერბი მარკო ბატიჩი ოთხი დღეა შემოუერთდა გუნდს, ის რუსეთსა და სერბეთის ნაკრებში თამაშობდა. 4 ბრაზილიელი უკრაინაში გადავიდა – ბრუნო, მელო, რომარიო, რონი, დავიმატეთ ახლები – მარსელო, ფაბიო და კუმანო, ძალიან კარგი მოთამაშეები არიან. რაც უფრო მეტი გულშემატკივარი მოვა სპორტის სასახლეში, ჩვენთვის მით უფრო კარგი, რადგან სწორედ მათთვის ვთამაშობთ. ჩვენ ყველა გუნდთან დასაპირისპირებლად ვემზადებოდით. ნებისმიერთან დასაპირისპირებლად მზად ვართ.

# გერმანელებმა ესპანელები დაჩაგრეს

**დორტმუნდი – რეალი 4:1**

**1:0 ლევანდოვსკი (8), 1:1 რონალდუ (43), 2:1, 3:1, 4:1 ლევანდოვსკი (50, 55, 67პ)**

**დორტმუნდი**: ვაიდენფელერი, პიშჩეკი (გროსკროიტცი 83), სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი, ბენდერი, გიუნდოგანი (შიბერი 90), ბლაჩიკოვსკი (კელი 82), გიოტცე, როისი, ლევანდოვსკი

**რეალი**: ლოპესი, რამოსი, ვარანი, პეპე, კოენტრაუ, ხედირა, ალონსო (კაკა 80), იოზილი, მოდრიჩი (დი მარია 68), რონალდუ, იგუაინი (ბენზემა 68)

ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ორივე ესპანური გრანდი საპასუხო მატჩების წინ ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. „ბაიერნის“ მიერ განადგურებულ „ბარსელონას“ შემდეგ, „დორტმუნდიც“ საკმაოდ იოლად გაუსწორდა მადრიდის „რეალს“ – გერმანელებმა ამჯერადაც 4-ჯერ მოახერხეს მეტოქის კარის აღება, თუმცა, ამჯერად ერთი თავადაც გაუშვეს.

არადა, პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა და თითქოს ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო, მაგრამ დორტმუნდელებმა დაამტკიცეს, რომ შესანიშნავ ფორმაში არიან. ჩანდა მონდომება, სურვილი, შემოქმედება... რასაც თან დაერთო მოძრაობა, საგოლე მომენტების რეალიზაცია.



რობერტ ლევანდოვსკიმ კი, რამდენიმე რეკორდი დაამყარა, თუმცა, ამაზე ქვემოთ, მანამდე კი, როგორ გავიდა გოლები.

მე-8 წუთზე, ჩაბი ალონსოს საკუთარ ნახევარზე შეცდა, რის შემდეგაც მასპინძლებმა შეტევა მარცხენა ფლანგზე წამოიწყეს, გიოტცემ ბურთის საჯარიმოში ჩააწოდა და ლევანდოვსკის ანგარიში გახსნა.

„რეალმა“ პირველ ტაიმში ერთადერთი სახიფათო მომენტი 43-ე წუთზე შექმნა და გოლადაც აქცია. საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ძალიან უყურადღებოდ ითამაშა ჰუმელსმა, რომელმაც ბურთი იგუაინს ჩააბარა, ხოლო არგენტინელმა ცარიელი კარის წინ მდგომი რონალდუ მოძებნა და გათამაშების საუკეთესო ბომბარდირს ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია.

ამ გოლით რონალდუ გახდა მე-5 ფეხბურთელი, რომელმაც ევროტურნირებზე 50-ბურთიან ზღვარს მიაღწია.

მეორე ტაიმი 5 წუთის დაწყებული იყო, როდესაც როისმა კარგი პასით ლევანდოვსკი მეკარეს პირისპირ შეჰყარა და მანაც დუბლი გაიფორმა.

კიდევ ხუთ წუთში, შმელცერის შორეული დარტყმის შემდეგ, ბურთი მოდრიჩს მოხვდა და რიკოშეტით ლევანდოვსკისთან მივიდა. პოლონელი რთულ სიტუაციაში კარგად გაერკვა და მეკარისგან მარცხენა ზედა კუთხეში ზუსტად დაარტყა.

66-ე წუთზე, ჩაბი ალონსომ, საკუთარ საჯარიმოში, როისს ხელი უბიძგა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა, ხოლო ლევანდოვსკიმ ზუსტად დაარტყა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

ამ გოლის შემდეგ, ლევანდოვსკი იქცა ერთადერთ ფეხბურთელად, რომელმაც ერთ მატჩში 4 გოლის გატანა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მოახერხა. აქამდე ჰეთ-თრიქი 2-ჯერ ყოფილა: 1998 წელს ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი-მონაკო 4:1) და 2010 წელს ივიცა ოლიჩი (ლიონი-ბაიერნი 0:3). სხვა მიღწევა აქვს უნგრელ ფერენც პუშკაშს. მას ფინალში აქვს გატანილი 4 გოლი: „რეალი“-“აინტრახტის“ მატჩში, რომელიც 7:3 დასრულდა.

გარდა ამისა, აქამდე „რეალის“ კარში ევროტურნირებზე 4 გოლი არავის გაუტანია.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – რობერტ ლევანდოვსკი

აქ საკამათოც კი არაფერი ყოფილა. დორტმუნდელთა ფორვარდმა დიდებულად მატჩი ჩაატარა, თითქმის ყველა თავისი შანსი გოლად აქცია. 4 გოლი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ისტორიული მიღწევაა.

**იურგენ კლოპი, დორტმუნდის მთავარი მწვრთნელი:**

– დღეს ჩემმა გუნდმა წარმოუდგენელი ფეხბურთი აჩვენა. „რეალი“ ძლიერი გუნდია და ეს თამაში იოლი რომ არ იქნებოდა, ეს წინასწარ ვიცოდით. საწყისი 25 წუთი თითქმის იდეალურად ვმოქმედებდით. მერე ოდნავ დავმშვიდდით და მეტოქეს თამაშში დაბრუნების საშუალება მივეცით. შესვენებისას შეგირდებს ვთხოვე, რომ ისე ეთამაშათ, როგორც საწყის წუთებში, როდესაც მეტოქეს აშკარად ვჯაბნიდით. ამ საუბარმა გაჭრა და მეორე ტაიმში უბრალოდ ვბრწყინავდით. საფინალო სასტვენის შემდეგ, ყველა ფეხბურთელს სათითაოდ გადავეხვიე. მათ ეს დაიმსახურეს. ნამდვილი ფეხბურთი ვაჩვენეთ და შეუჩერებლები ვიყავით. ერთადერთი, პირველი ტაიმის შუაში ავირიეთ, რამაც საპასუხო გოლი გამოიწვია. მაგრამ გასახდელში ბიჭებს ვუთხარი, რომ არაფერი საშინელი არ ხდებოდა და ახლა მადრიდშიც მოგვიწევდა გოლის გატანა, რასაც, პრინციპში ისედაც ვგეგმავდით.

**ჟოზე მოურინიუ, რეალის მთავარი მწვრთნელი:**

– დღეს მეტოქე ჩვენზე უკეთესი იყო. მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქე ორთაბრძოლებს გვიგებდა. ის ორგანიზებულად თამაშობდა და გვაჯობა როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ანგარიში 1:1 იყო დროის მცირე მონაკვეთში უკვე 1:4 ჩამოვრჩით. ბურთს უმარტივეს სიტუაციებში ვკარგავდით და ვერაფერს ვუხერხებდით მეტოქის კონტრშეტევებს, მათ სწრაფ გადასვლებს დაცვიდან შეტევაში. კარგად გვყავდა შესწავლილი „დორტმუნდი“ და ყველაფერი ვიცოდით ლევანდოვსკის შესახებ, მაგრამ 3 ეპიზოდში ის მაინც გაგვექცა. ეს ძალიან ცუდია. როდესაც დამსახურებულად აგებ, ამის გააზრება იოლი არაა. ლევანდოვსკიმ დღევანდელი თამაშით მხოლოდ ქება დაიმსახურა. თითქოს კარგად მოვემზადეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე ჩემმა ფეხბურთელმა თამაში ჩააგდო. რა თქმა უნდა ასეთი შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ჩვენ ორრაუნდიანი ბრძოლის ბედის შეცვლა შეგვიძლია. იოლი არ იქნება, მაგრამ ამის გაკეთება შეგვიძლია. ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. თუ საოცარ თამაშს ჩავატარებთ, უმაღლესი დონის ფეხბურთს ვაჩვენებთ და ყველა მომენტის გამოყენებას მოვახერხებთ, ჯამში გამარჯვებას მოვიპოვებთ.

# ხიზანიშვილს ინგლისში ითხოვენ

ინგლისური მედიის ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და თურქული „ქაისერისპორის“ მცველით, ზურაბ ხიზანიშვილით ინგლისური კლუბები არიან დაინტერესებული. მისი გადაბირება „ნორვიჩს“, „რედინგსა“ და „ლიდს იუნაიტედს“ სურს.

ხიზანიშვილს მის ამჟამინდელ კლუბთან ხელშეკრულება მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდის და თავისუფალი აგენტი ხდება. ასე რომ, მის მსურველ გუნდს, ფეხბურთელის ხელში უფასოდ ჩაგდება შეეძლება.

ხიზანიშვილს ისტორიები ინგლისელი ჟურნალისტების მიერ დასახელებულ სამივე გუნდთან აქვს. „ნორვიჩის“ ამჟამინდელი მწვრთნელი კრის ჰიუტონი ზურას მცირე ხნის განმავლობაში წვრთნიდა, როდესაც ქართველი ფეხბურთელი „ნიუკასლში“ თამაშობდა. 2010-11 წლებში, ხიზანიშვილი „რედინგში“ იჯარის წესით თამაშობდა. იმ დროს, გუნდს ბრაიან მაკდემორტი წვრთნიდა, რომელსაც, ამჟამად, „ლიდს იუნაიტედი“ წვრთნის.

კიდევ ერთი ინფორმაციით, ქართველი ფეხბურთელით თურქული „ტრაბზონსპორიც“ არის დაინტერესებული. სად გააგრძელებს კარიერას ჩვენებური, ამას უახლოეს ხანში შევიტყობთ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

ბრაზილია-ჩილე ........ 2:2

**ამხანაგური მატჩი (21)**

ჩეხეთი-სლოვაკეთი ........ 1:0

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

დორტმუნდი-რეალი ........ 4:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-ტრუა ........ 1:2

სენტ ეტიენი-აიაჩო ........ 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 33 | 21 | 7 | 5 | 60:20 | 70 |
| 2.მარსელი | 33 | 18 | 7 | 8 | 37:32 | 61 |
| 3.ლიონი | 33 | 17 | 8 | 8 | 54:35 | 59 |
| 4.სენტ ეტიენი | 33 | 15 | 12 | 6 | 55:27 | 57 |
| 5.ლილი | 33 | 15 | 11 | 7 | 50:32 | 56 |
| 6.ნიცა | 33 | 15 | 9 | 9 | 48:40 | 54 |
| 7.ლორიენი | 33 | 13 | 11 | 9 | 53:51 | 50 |
| 8.მონპელიე | 33 | 14 | 6 | 13 | 50:43 | 48 |
| 9.ბორდო | 33 | 11 | 14 | 8 | 35:30 | 47 |
| 10.რენი | 33 | 12 | 6 | 15 | 44:49 | 42 |
| 11.ტულუზა | 33 | 10 | 11 | 12 | 40:42 | 41 |
| 12.ვალანსიენი | 33 | 10 | 10 | 13 | 42:48 | 40 |
| 13.ბასტია | 33 | 11 | 6 | 16 | 44:62 | 39 |
| 14.რეიმსი | 33 | 9 | 10 | 14 | 31:38 | 37 |
| 15.აიაჩო | 33 | 8 | 13 | 12 | 35:45 | 35 |
| 16.ევიანი | 33 | 8 | 10 | 15 | 39:49 | 34 |
| 17.ნანსი | 33 | 8 | 10 | 15 | 33:49 | 34 |
| 18.სოშო | 33 | 8 | 9 | 16 | 34:52 | 33 |
| 19.ბრესტი | 33 | 8 | 5 | 20 | 29:51 | 29 |
| 20.ტრუა | 33 | 5 | 13 | 15 | 38:56 | 28 |

*შენიშვნა:*

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

**ჩეხეთი. თასი**

ლიბერეცი-იაბლონეცი ........ 4:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ჰაუგესუნდი-სტარტი ........ 3:2

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

ოკლაჰომა-ჰიუსტონი ........ 105:102

სერიის ანგარიში: ........ 2:0

ინდიანა-ატლანტა ........ 113:98

სერიის ანგარიში: ........ 2:0

სან ანტონიო-ლეიკერსი ........ 102:91

სერიის ანგარიში: ........ 2:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ტამპა ბეი-ტორონტო ........ 5:2

დეტროიტი-ლოს ანჯელესი ........ 3:1

ედმონტონი-ჩიკაგო ........ 1:4

ფინიქსი-სან ხოსე ........ 2:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# პლეი ოფის მატჩი უშუქობის გამო გადაიდო

საქართველოს ჩემპიონატის საკალათბურთო პლეი ოფის მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩი „რუსთავსა“ და „ქუთაისს“ შორის, რომელიც რუსთავის სპორტსკოლის დარბაზში მიმდინარეობდა, უშუქობის გამო შეწყდა და აღარ გაგრძელდა.

რაც შეეხება დღეს დაწყებულ და ჩაშლილ მატჩს, იგი პირველი მეოთხედის მე-8 წუთამდე გაგრძელდა. როცა მატჩის პირველი მეოთხედის დასრულებამდე 3,27 წუთი რჩებოდა და ანგარიში 13:14 იყო ქუთაისელთა სასარგებლოდ, დარბაზში შუქი გამოირთო და თამაში შეწყდა. მასპინძელი გუნდის წარმომადგენლების განცხადებით, მოხდა დაზიანება, რომლის გამოსწორებასაც შესაბამისი სამსახური ცდილობდა, თუმცა დებულებით გათვალისწინებულ დროში გასვლის შემდეგ კომისარმა და მსაჯებმა მატჩი საბოლოოდ შეწყვიტეს.

რუსთაველთა კლუბის დირექტორმა, ამირან ხაჩიძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ერთ-ერთ უბანზე მოხდა ავარია, მწყობრიდან გამოვიდა კაბელები. მიმდინარეობდა დაჩქარებული სარემონტო საშუალებები, რომლის განმავლობაშიც ელექტროენერგიის მოწოდება 4-ჯერ აღდგა, მაგრამ ხელახალი ავარიის შემდეგ კომპანია „ენერგო-პროდან“ გვაცნობეს, რომ უახლოეს ხანებში შუქი აღარ მოვიდოდა.

ასეთ შემთხვევაში, სუპერლიგის დებულება მატჩის მომდევნო დღეს ჩატარებას გულისხმობს, თუმცა გუნდების ურთიერთშეთანხმებისა და მასზე სუპერლიგისა და მსაჯთა კავშირის თანხმობის შემდეგ აღნიშნული მატჩის გაუქმება და სერიაში შემდეგი კალენდრის დადგენა გადაწყდა, რომ სერიის პირველ მატჩს დღეს, ქუთაისში გამართავენ, მეორე შეხვედრას კი 28 აპრილს რუსთავი უმასპინძლებს. საჭიროების შემთხვევაში დასანიშნი მესამე მატჩის თარიღი, უცნობია. იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო მატჩის ჩატარება, მასპინძელი გუნდის მიმართ გატარდება დებულებით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

# გუსტავო: იბერიასთან რთულ მატჩს ველით

დღეს, უეფას ფუტსალის თასის ნახევარფინალურ მატჩში „იბერია სტარი“ მოსკოვის „დინამოს“ დაუპირისპირდება. რუსული კლუბის შემადგენლობაში მატჩს პირველი მეკარე გუსტავო გამოტოვებს. საქმე ის არის, რომ რუსეთის ნაკრების წევრმა ელიტ-რაუნდის ბოლო შეხვედრაში, „მურსიასთან“ წითელი ბარათი მიიღო და თბილისური „ოთხთა ფინალის“ პირველ დაპირისპირებას ამიტომ გამოტოვებს.

გუსტავოს ინტერვიუ უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც აღნიშნა, რომ „იბერია სტართან“ ძალიან რთულ თამაშს ელის.

***– რა არის „დინამოს“ მთავარი პლუსები?***

– 15-16-კაციანი ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს. თითოეულმა მათგანმა გამოცდილება ან „დინამოში“ მიიღო, ან ნაკრებში. ამიტომ, ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს.

***– რამდენად ადვილია თქვენთვის რუსეთის ჩემპიონატის 50-წუთიანი მატჩებიდან საერთაშორისო ტურნირების 40-წუთიან თამაშებზე გადართვა?***

– ჩვენთვის ეს კარგია. რუსეთის ჩემპიონატში 50-წუთიანი მატჩებისთვის ვემზადებით და როდესაც 40 წუთი ვთამაშობთ, ძალა კიდევ გვრჩება. ზოგჯერ ეს დრო არ გვყოფნის, რომ ბოლომდე დავიხარჯოთ.

***– რამდენად ძლიერია „დინამოში“ ბრაზილიური გავლენა?***

– ჩვენი გუნდი სანახევროდ რუსულია, სანახევროდ – ბრაზილიური. კარგი შერწყმაა. ყველა ძალიან გამოცდილია და ბრაზილიელებად და რუსებად არ ვიყოფით – ჩვენ „დინამო“ ვართ. როდესაც ეს შერწყმა „ადუღდება“, გუნდი ძალიან მძლავრი ხდება.

***– რა იცით ნახევარფინალში თქვენს მეტოქე „იბერია სტარის“ შესახებ?***

– კარგი გუნდია. ცოტა ხნის წინ „იბერია სტარმა“ მოსკოვში ამხანაგური მატჩი ჩაატარა და მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია გვაქვს. მზად ვართ და ძალიან რთულ თამაშს ველით.

***– 2012 წლის უეფას ფუტსალის თასის ფინალში „ბარსელონამ“ „დინამო“ დაამარცხა. რამდენად რეალურია ამ გუნდთან რევანშის აღება?***

– თავდაპირველად ნახევარფინალზე უნდა ვიფიქროთ. რაც შეეხება „ბარსელონას“, ის ძალიან რთული მეტოქეა. არ ვიცი, შევხვდებით თუ არა „ბარსას“, რომელიც მართლაც მაღალი კლასის გუნდია, ისევე, როგორც „ქაირათი“. ფინალური ტურნირის ყველა მონაწილე ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს და ამიტომ, პირველ ყოვლისა ფინალში უნდა გავიდეთ, სადაც გამოჩნდება, ვის შევხვდებით.

# გრიბოედოვის თეატრის წარმატება რუსეთში

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის სანქტ-პეტერბურგში გასტროლის შემაჯამებელი ანგარიში.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, მიწვეული სტუმრები, გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელი რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი და თეატრის წარმომადგენლები. როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა დრამატულმა თეატრმა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღო XV საიუბილეო დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების რუსული თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე „შეხვედრები რუსეთში“.

— ძალიან სასიხარულოა ჩვენთვის, რომ განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ჩვენს თეატრს, რომელმაც წარმოადგინა სპექტაკლი ლევ ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. ქართული კულტურის პოპულარიზაცია საჭიროა და ეს ყველგან უნდა გავაკეთოთ, სადაც კი ხელი მიგვიწვდება, — აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა.

თბილისურმა დასმა ფესტივალზე წარმოადგინა სპექტაკლი „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ ლევ ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი. სცენოგრაფია მირიან შველიძეს ეკუთვნის, კომპოზიტორია ზაზა კორინთელი (ზუმბა). სპექტაკლში მონაწილეობენ თეატრის სხვადასხვა თაობის მსახიობები ლიუდმილა მღებრიშვილი (საქართველოს დამსახურებული არტისტი), აპოლონ კუბლაშვილი, ვალერი ხარიუტჩენკო, ოლეგ მჭედლიშვილი, ლაშა გურგენიძე, ვანო ქურასბედიანი, სოფიო ლომჭარია, სანდრო მარგალიტაშვილი, მარიამ კიტია, მიხეილ არჯევანიძე, დიმიტრი მერაბიშვილი, დიმიტრი სპორიშევი, ანა არუთუნიანი, ვასილ გაბაშვილი, ნინო კალატოზიშვილი, მედეა მუმლაძე, ნინო ნინიძე, ალექსანდრე ლუბინეცი, ნანა დარჩიაშვილი, ალა მამონტოვა.

— ჩვენ ამ ფესტივალზე წავიღეთ სპექტაკლი „ცხენის ისტორია“ პეტერბურგში, სადაც იყო რუსულენოვანი თეატრების ფესტივალი. დავაზუსტებ, არა რუსეთის ფესტივალი, არამედ იმ თეატრების, რომლებიც არიან რუსეთს გარეთ და ასეთი თეატრები ბევრია, მათ შორის, ისრაელში, კანადაში, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბალტიისპირეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ამ სპექტაკლის ამ ფესტივალზე ჩატანა ჩემი მხრიდან საკმაოდ თავხედური ნაბიჯი იყო, რადგან „ცხენის ისტორია“ პეტერბურგისთვის არის საკულტო სპექტაკლი, იმიტომ რომ თავის დროზე ეს სპექტაკლი გიორგი ტოვსტონოგოვმა დადგა და ძალიან უცდიდნენ ჩვენებურ ვერსიას. ჩვენი სპექტაკლი რადიკალურად განსხვავებულია ყველანაირად, მათთვის მოულოდნელი იყო ამ სპექტაკლის ასე გადაწყვეტა. ჩვენს წარმოდგენას რუსული სარეჟისორო ელიტა მთლიანად ესწრებოდა. შეიძლება ბევრი გაღიზიანდეს, რომ რუსეთში ჩავედით, მაგრამ ეს მხოლოდ ტერიტორია იყო რუსული, თორემ ეს იყო შეკრება რუსულენოვანი თეატრების, რადგან ეს არის ფორუმი და იქ ძალიან ბევრი საინტერესო თეატრალური დასი იკრიბება, — განაცხადა ავთანდილ ვარსიმაშვილმა.

როგორც ავთანდილ ვარსიმაშვილმა აღნიშნა, ამ ფესტივალის ორგანიზატორები არიან რუსეთის კულტურის სამინისტრო, თეატრალური შემოქმედთა კავშირი, სანქტ-პეტერბურგის კულტურის კომიტეტი, საერთაშორისო ბალტიის საფესტივალო ცენტრი და თეატრი-ფესტივალი „ბალტიური სახლი“.

# აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა იწყება

ეკა ირემაშვილი

აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა იწყება. როგორც ეროვნულ კინოცენტრში გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, აჭარაში კინოს დაფინანსების ალტერნატიული სახელმწიფო წყარო — რეგიონული ფონდი იარსებებს. პროგრამის პრეზენტაცია თბილისში ეროვნულ კინოცენტრში გაიმართა. პრეზენტაცია მოაწყო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსმა ირინა სურმანიძემ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე და ქართველი პროდიუსერები და რეჟისორები.

— აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ კინომწარმოებლებს სთავაზობს სრული და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების კინოპროექტების დაფინანსებას. ეს ყველაფერი რეგიონისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ქართული კინოწარმოების გაჩაღებისთვის აჭარის რეგიონში, ეს კი ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის პოპულარიზაციას და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციას, ასევე ადგილობრივ კინოწარმოებას და კინოსთან დაკავშირებული



პროფესიის ადამიანების ამ ყველაფერში ჩართვას, მათ გადამზადებას და მომავალში დასაქმებას, — განაცხადა ირინა სურმანიძემ.

პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ 2013 წლის პროგრამაში სულ გათვალისწინებულია 86.000 ლარი. აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ აჭარის სამინისტროს, სამინისტროს ან კინოპროგრამის ვებგვერდზე განთავსებული განაცხადის ფორმის მიხედვით. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 20 მაისია.

— ეს არის ძალიან პროგრესული ნაბიჯი, რომელიც აჭარის კულტურის სამინისტრომ გადადგა ქართული კინოწარმოების ხელშეწყობისთვის. თუმცა არა მარტო ქართული კინოწარმოებისთვის, ამ პროექტში კო პროდუქციაც შეიძლება ჩაერთოს. მიმაჩნია, რომ ეს ქართული კინოს წახალისებისთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. წელს ალბათ ყველაზე რთული წელი იქნება, რომ ჩამოვყალიბდეთ, თუ როგორ განვითარდება მომავალში ეს ყველაფერი, — აღნიშნა ნანა ჯანელიძემ.

# ათონელის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

26 და 28 აპრილს „თეატრი ათონელზე“ თეატრის მოყვარულ საზოგადოებას პრემიერაზე ეპატიჟება. „სეზარი და დრანა“ — ასე ეწოდება ახალ სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა რუსუდან კობიაშვილმა დადგა.

ამჯერად რეჟისორმა მონოსპექტაკლზე შეაჩერა თავისი არჩევანი და მთავარ როლში სოხუმის თეატრის ყოფილი მსახიობი ლილი ხურითი დააკავა. ქართულ თეატრალურ სივრცეს შემომატებული ახალი მონოსპექტაკლი მამაცი ბოშა ქალის დრანას გასაოცარ ამბავს გვიამბობს. ეს არის საოცრად დინამიკური სპექტაკლი, სადაც ერთდროულად ბევრი ამბავი ხდება და იცვლება მოვლენები — სხვადასხვა სახეებით ოსტატურად ანვითარებს ამ მოვლენებს ერთადერთი მსახიობი ლილი ხურითი.

მუსიკა სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის დაიწერა, რომელიც საოცრად ზუსტად ასახავს დრანას განცდებს, მის სულიერ მდგომარეობს, შექმნილ ვითარებას, რომელთანაც უწევს დაპირისპირება პერსონაჟს. სპექტაკლის მხატვრობა კი განსაკუთრებულ გამომხატველობას სძენს ვითარებას, გამოკვეთს დრანას ყოფიერების მთელ ტრაგიზმს, იმ სასიცოცხლო სივრცეს, რომელთან ჭიდილშიც იწრთობა პერსონაჟის ხასიათი.

სპექტაკლი თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ დაფინანსდა და მისი ნახვა საპრემიერო ჩვენებების გარდა, თეატრის მოყვარულ საზოგადოებას ათონელის თეატრში მომავალშიც შეეძლება.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 4. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 10. საფეხბურთო სტადიონი ვალენსიაში; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. მუდმივი მყიდველი; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. კურკოვანი ხილი; 17. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 20. სამეჯლისო ცეკვა.

**თარაზულად**; 6. წითელი ფერის, ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური თეატრალური თამაში-წარმოდგენა; 8. ქალაქი იმერეთში; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. აჭარული ცეკვა; 24. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

*შეადგინა: თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფანდური; 2. პარასოლი; 3. იამაჰა; 4. ქსანი; 5. ჰანიბალი; 8. ბახთიარი; 12. ლელო; 13. დულცინეა; 14. სტიგმა; 16. ბილაინი; 18. ქარვა; 20. ბალი.

**თარაზულად;** 6. ვალენსია; 7. ტრავესტა; 8. ბაწარა; 9. ჯუნტა; 10. სოლოლაკი; 11. წყალბადი; 15. გუვერნანტი; 17. კოდაკი; 19. მაიბოროდა; 21. სნუკერი; 22. ბაქშტაინი; 23. სირტაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაჰარაჯა; 2. ოტიატრი; 3. ომანი; 4. პუშკინი; 5. სულგუნი; 10. ფეხბურთი; 11. მასპინძელი; 12. ჰიბრიდი; 15. დიოსკურია; 16. ფლინტი; 17. ვიმპელი; 20. პრუსი.

**თარაზულად;** 6. სანატორიუმი; 7. ნუსხური; 8. საიგაკი; 9. დაგერი; 13. წიდა; 14. ყარაია; 18. ტრიკოტაჟი; 19. კილტი; 21. ურეკი; 22. მიზერი; 23. ნინოშვილი; 24. პლასტიკა.

# ქართველი მუსიკოსები გერმანიაში გასტროლებს მართავენ

ეკა ირემაშვილი

ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები გერმანიაში გასტროლებს მართავენ. უკვე მეხუთე წელიწადია, რაც გერმანიაში ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეგიდით ფუნქციონირებს მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“. პროექტის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. „კამერტონის“ ერთ-ერთი პრიორიტეტია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელ მოზარდთა გასტროლების მოწყობა და გერმანელ თანატოლებთან ერთობლივი კონცერტების ჩართვა გერმანიის ქალაქებში და ვინაიდან, პროექტი გაცვლითი ხასიათისაა, მსგავსი კონცერტების გამართვა გერმანიაში სტუმრად მყოფი ახალგაზრდების სამშობლოში.

„კამერტონის“ ხელმძღვანელია ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი. პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი.

„კამერტონის“ პარტნიორი ქვეყნების რიგს 2011 წელს საქართველოც შეემატა. პროექტში საქართველოს წარმომადგენელი და მუსიკალური ხელმძღვანელია პიანისტი კირა ლელაშვილი. შარშან, საქართველოში უკვე მესამე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ლიუდმილა ფონ ბერგი რამდენიმე დღის მანძილზე ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის აღსაზრდელთა შემოქმედებას. ახალი თაობის მუსიკოსთა შთამბეჭდავმა პროფესიულმა დონემ სტუმრის მაღალი შეფასება ამჯერადაც დაიმსახურა.

რამდენიმე ათეული მოზარდი მუსიკოსიდან შეირჩა ექვსი, ვინც 19-28 აპრილს გერმანიის ექვს ქალაქში გამართავს კონცერტებს — ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სასწავლებლის აღსაზრდელები სალომე ჟორდანია (ფორტეპიანო), გიორგი ოიკაშვილი (კლარნეტი), ინალ ჯიოევი (ჰობოი) და ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიის მოსწავლეები ირმა გიგანი (ფორტეპიანო) და ნოდარ მდივანი (კლარნეტი), ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლე სენდი ვართანოვი (ვიოლინო). გიორგი ოიკაშვილი, ინალ ჯიოევი და სენდი ვართანოვი შარშანაც მონაწილეობდნენ „კამერტონის“ ეგიდით გამართულ კონცერტებში, როგორც გერმანიაში, ასევე საქართველოშიც, როდესაც თბილისს საპასუხო შემოქმედებითი ვიზიტით ესტუმრნენ ბერლინის კარლ ფილიპ ემნუელ ბახის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის აღსაზრდელები და მათ კონსერვატორიის დიდ დარბაზში შთამბეჭდავი ერთობლივი კონცერტიც გამართეს.

ქართველ ახალგაზრდებს წელსაც ძალზე მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა აქვთ მომზადებული გერმანელი მსმენელებისთვის — როგორც სოლო ნომრები, ასევე ანსამბლები. ცხადია, დასავლეთევროპელი, რუსი და ამერიკელი კომპოზიტორების ქმნილებებთან ერთად, პროგრამაში შეტანილია ქართული მუსიკაც — რევაზ ლაღიძის რონდო-ტოკატა, ირაკლი გეჯაძის „მერცხალი“, მერაბ ფარცხალაძის „ჩანახატი“, „კამერტონის“ თხოვნით, ვაჟა აზარაშვილმა საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობისთვის შექმნა თავისი შესანიშნავი „ნოქტიურნის“ სექსტეტისთვის განკუთვნილი რედაქცია, საგანგებოდ ბერლინში მიმავალი ამ მუსიკოსებისთვის შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორების თენგიზ ნოზაძის სექსტეტი სახელწოდებით „ვალსი-ფანტაზია“ და ლალი საბანაძის „მუსიკა ხუთი ინსტრუმენტისთვის“.

წლევანდელი საკონცერტო ტურნეც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გოეთეს ინსტიტუტის მეოხებით იმართება. საქართველოდან გამგზავრებამდე ახალგაზრდა მუსიკოსებმა კონცერტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში გამართეს. კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეები ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მანანა ბერიკაშვილი, მინისტრის მრჩევლები, მიწვეული სტუმრები და მუსიკოსები.

— უკვე მეხუთე წელიწადია, რაც გერმანიაში ფუნქციონირებს მოზარდთა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“, რომლის მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. „კამერტონის“ ხელმძღვანელია ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი. პროექტის მხარდამჭერები კი არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და ბერლინის სენატი. „კამერტონის“ პარტნიორი ქვეყნების რიგს 2011 წელს საქართველოც შეემატა, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

# დღეს თბილისში საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმი გაიმართება

დღეს თბილისში საქართველო-უკრაინის ბიზნესფორუმი გაიმართება. ფორუმი საქართველო-უკრაინის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭოს, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს , საპარტნიორო ფონდისა და უკრაინული კომპანიის ორგანიზებით ტარდება. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გახსნის. ფორუმში მონაწილეობას ასევე მიიღებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია. ფორუმს 50-მდე უკრაინული კომპანიის წარმომადგენელი დაესწრება. ისინი საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოსა და ბიზნესის წარმოების შესაძლებლობებს გაეცნობიან. უკრაინული დელეგაციის შემადგენლობაში არიან საბანკო-საფინანსო, წარმოების, უძრავი ქონების, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საკონსულტაციო, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის სფეროს წარმომადგენლები. ღონისძიების ფორმატი ქართული და უკრაინული ბიზნესის წარმომადგენლებს შორის ორმხრივ შეხვედრებსაც ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

# სამხრეთ კორეამ მეზობელს პასუხის გასაცემად ვადა მისცა



სამხრეთ კორეამ ჩრდილოეთ კორეა გააფრთხილა, რომ თუ კესონის ინდუსტრიულ ზონასთან დაკავშირებით ეს ქვეყანა მოლაპარაკებაზე უარს იტყვის, აღნიშნულს სერიოზული შედეგები მოჰყვება.

„სი-ენ-ენის“ ცნობით, სამხრეთ კორეის გაერთიანების მინისტრმა კიმ ჰუნგ-სეკმა ჩრდილოეთ კორეას მოუწოდა კესონის ინდუსტრიულ ზონასთან დაკავშირებით მოლაპარაკების შეთავაზებაზე პასუხი პარასკევს შუა დღემდე გასცეს. მინისტრის თქმით, თუ ფხენიანი ამ შეთავაზებაზე უარს იტყვის, სეულს არჩევანი აღარ ექნება და „სერიოზულ“ ზომებს მიმართავს. თუმცა, თუ რა იგულისხმება ამ ზომებში მინისტრის არ დაუკონკრეტებია.

შეგახსენებთ, კერსონის ინდუსტრიული ზონა ორი ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური ზონაა, სადაც სამხრეთ კორეის 120 კომპანია მოქმედებს. ამ თვის დასაწყისიდან, ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეელებს ზონაში შესვლის საშუალებას აღარ აძლევს.

ამასთან, ფხენიანი სამხრეთ კორეასთან მოსაზღვრე ტერიტორიაზე, ტანკსაწინააღმდეგო ზღუდეებს მართავს. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ფენხალი“ ჩინეთის ტელეარხზე დაყრდნობით ავრცელებს.

ჩრდილოკორეელი სამხედროები ზღუდეების ასაშენებლად ბეტონს დიდი ქვებსა და ხის დიდ მორებს იყენებენ. ტელეარხი აღნიშნავს, რომ ბარიკადები ომის დაწყების შემთხვევაში, მოსაზღვრე ტერიტორიიდან ტანკების შემაკავებელი უნდა იყოს.

ტელეარხი ასევე აღნიშნავს, რომ ამგვარ ბარიკადების აგება იოლი საქმე არ არის, ამიტომაც ვარაუდობს, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ომისათვის ემზადება.

ფხენიანსა და სეულს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო მას შემდეგ დაიძაბა, რაც აშშ-მ და სამხრეთ კორეამ ერთობლივი ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნა ჩაატარეს.

გასულ კვირას, ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა სამხრეთ კორეასთან და აშშ-სთან დიალოგის დაწყების პირობების ნუსხა წარადგინა, რომლებსაც სამხრეთ კორეამ და აშშ-მ აბსურდული უწოდა.

ირანის პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით კი, ირანი მზადაა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის არსებულ კონფლიქტში შუამავლის როლი შეასრულოს. მისივე თქმით, რეგიონში ომის წამოწყება სრულიად მიუღებელია და ამიტომ მან ორ სახელმწიფოს მეგობრული რჩევით მიმართა.

„მე, როგორც თქვენი მეგობარი, ვიმედოვნებ გამოიჩენთ სიბრძნეს და პრობლემებს ასე გადაჭრით, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. აუცილებელია დიპლომატიური მოლაპარაკებები და მზად ვარ ვიშუამდგომლო თქვენს შორის. ჩვენი მტრები რეგიონში ვითარების დაძაბვას ცდილობენ, მაგრამ ომის წამოწყება სრულიად მიუღებელია“, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# აშშ-ის ხელისუფლებამ ძმებ ცარნაევების დედის დაპატიმრების ორდენი გასცა



აშშ-ის ხელისუფლებამ ძმებ ცარნაევების დედაზე დაპატიმრების ორდენი გასცა. საქმე ეხება გასულ წელს მომხდარ ფაქტს, როდესაც ქურდობაში ბრალდებული ზუბეიდატ ცარნაევა სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა.

ზუბეიდატ ცარნაევას აშშ-ში ჩასვლის შემთხვევაში დააპატიმრებენ. მას სამოსის ერთ-ერთ ელიტურ მაღაზიიდან 1600 დოლარის ოდენობის სამოსის ქურდობა ედება ბრალად.

წინათ, ტამერლან და ჯოხარ ცარნაევების დედამ განაცხადა, რომ ის აშშ-ში წასვლას აპირებს, რათა უმცროსი შვილის სასამართლო პროცესს დაესწროს. ახლა, ზუბეიდატ ცარნაევას განცხადებით, ის დაღესტანში რჩება.

ამასთან, ცარნაევების დედა დარწმუნებულია, რომ მის შვილებს ბოსტონში მომხდარ ტერაქტთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

„რაც მოხდა საშინელებაა, თუმცა ვიცი, რომ ჩემს ბავშვებს ამასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. მე ვიცი ეს, მე დედა ვარ. ვიცნობ საკუთარ შვილებს. თავიდან როცა ამის შესახებ გავიგე, არ ვიჯერებდი, კინაღამ გავგიჟდი და საშინლად გავბრაზდი ამერიკაზე, თუმცა ამერიკა არაფერ შუაშია, ეს ვიღაცამ გააკეთა, თუმცა არა ჩემმა შვილებმა. ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ეს არ იყო ჩემი შვილი.

დღეს მისმა დამ, ჩემმა გოგონამ მითხრა, რომ თამერლანის შესახებ ვიდეო ნახა „იუთუბზე“ და ლინკი მომცა. არ ვიცი, სიტყვები არ მაქვს... ჩემი შვილი ცოცხალია. იმედი მაქვს, რომ მალე გაირკვევა სიმართლე. გთხოვთ, გააგებინეთ ჩემი სიტყვები მთელს მსოფლიოს“, — აცხადებს ზუბაიდატ ცარნაევა.

„სი-ენ-ენის“ ცნობით კი, ბოსტონის აფეთქებაში ეჭვმიტანილების ტამერლან და ჯოხარ ცარნაევების მამა ანზორ ცარნაევი რუსეთიდან ამერიკაში ჩაფრინდება.

მან შესაძლოა გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდოს. ცარნაევების წარმომადგენლმა, უფლებადამცველმა ხედა სარატოვმა „სი-ენ-ენს“ განუცხადა, რომ ანზორ ცარნაევი ამერიკაში, სავარაუდოდ, პარასკევს ჩავა.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ბოსტონის მარათონზე მომხდარ აფეთქებას სამი ადამიანი ემსხვერპლა და 260 დაშავდა. ჯოხარ ცარნაევის თქმით, თავდასხმის ორგანიზატორი მისი ძმა ტამერლანი იყო და მათ უკან ტერორისტული დაჯგუფებები არ დგანან. როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის ხელისუფლებამ ამერიკა ტამერლან ცარნაევის შესახებ 2011 წელს ორჯერ გააფრთხილა.

ტამერლან ცარნაევი აყვანის დროს მიღებული მძიმე ჭრილობების შედეგად საავადყოფოში გარდაიცვალა. 19 წლის ჯოხარ ცარნაევს კი, სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

ერთ-ერთი მეჩეთის იმამმა უარი განუცხადა ტამერლან ცარნაევის ნათესავს, ტამერლანისათვის გამოსამშვიდობებელი ცერემონიის ისლამური ტრადიციებით ჩატარებაზე, იტყობინება „ენბისი ნიუსი“.

მოკლულის დეიდის ფატიმა სულეიმანოვას თქმით, ტამერლანის ცხედარი, ხელისუფლებამ უკვე ნათესავებს გადასცა. რომელ მეჩეთში განუცხადეს ნათესავებს უარი, არ აკონკრეტებენ.

# აშშ-ში 2013 წლის ყველაზე პრესტიჟული და უარესი პროფესიები დაასახელეს



ერთ-ერთმა ამერიკულმა სააგენტომ ყველაზე პრესტიჟული და უარესი პროფესიები დაასახელა. კვლევა ემყარება დასაქმებული თანამშრომლების ემოციურ დაძაბულობას და ხელფასის დონეს.

2013 წლის რეიტინგში ყველაზე პრესტიჟულად დასახელებულია აქტუარია (სადაზღვევო მათემატიკის სპეციალისტი), რომელიც სადაზღვევო ტარიფების მეთოდოლოგიას ამუშავებს. სიაში მეორე ადგილზე ბიოსამედიცინო ინჟინერი აღმოჩნდა. ყველაზე პრესტიჟული პროფესიების სამეულს ამთავრებს ოტოლარინგოლოგი, იტყობინება „რია ნოვოსტი“.

საუკეთესო სპეციალობების ჩამონათვალში ასევე შევიდა ანალიტიკოსი, ინჟინერ-პროგრამისტი, დანტისტი, ოპტიკოსი, ფიზიოთერაპევტი, ლოგოპედი. ტოპ-ოცეულში აღმოჩნდა დიეტის ექიმი, ფარმაცევტი, მათემატიკოსი, სოციოლოგი, სტატისტიკის სპეციალისტი.

აშშ-ში უარეს პროფესიად დასახელებულია საგაზეთო რეპორტიორის თანამდებობა — სტრესის მაღალი დონის გამო, როდესაც საკმაოდ დაბალი ანაზღაურებაა. ქვეყანაში რეპორტიორები წელიწადში საშუალოდ 36 ათას დოლარს იღებენ. ამასთან, ისინი ბევრ პრობლემას აწყდებიან, მათ შორის რედაქციებში შტატების შემცირებას, ხელფასის შემცირებას და კონკურენციას ინტერნეტმედიის მხრიდან. ამ დროისთვის, მკითხველს ტექნოლოგიური მიღწევებით სწრაფად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია პრაქტიკულად ნებისმიერ ადგილზე, რაც ტრადიციული გაზეთების არსებობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

ასევე უარეს სპეციალობებში დასახელებულნი არიან მსახიობები, ფოსტალიონები და ბორტგამცილებლები.

# TV პროგრამა

**პარასკევი 26 აპრილი**

06.30 „მოამბე„(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„(პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„— მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„(პ/ე) 15.00 ტ/სერ.„ბორჯია„ 17.00 დ/ფ „ისტორიის შექმნა„ 17.55 ფუტსალი. უეფას ფუტსალის თასი. ნახევარფინალი (პ/რ) შესვენებისას „მოამბე„ 20.25 ფუტსალი. უეფას ფუტსალის თასი. ნახევარფინალი (პ/რ) 22.10 დ/ფ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „გაიცანი ჯონ დო„ (ტიტ.)

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ 2 ნაწ. 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 3 ნაწ. 16.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ 3 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 ოტელო – მშრალი ხიდის სიზმრები 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.35 რომ გადახვალ„ გააჩერე (გ/ჩ) 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 17 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ– ღია ეთერი 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „საზრალონი„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ II ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ალყა„ 13.25 კონცერტი - ანიტა რაჭველიშვილი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.00 წმინდა დიმიტრი ყიფიანი 16.35 საუბრები ლიტერატურაზე 17.00 ჩვენი დრო 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ „თეთრი ქარავანი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35,16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

---

ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი, პროფესორი

**თამარ (ქუსა) კაჭახიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 25, 26 აპრილს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 27 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: ბახტრიონის 6/3.

---

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საკრებულოს თავმჯდომარის

**ილია იორდანიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები გურამ, დოდო, მანანა აბლოთიები, რძალი ლია კუპრავა, სიძეები დაზმირ ქობალია, ზურაბ კალმახელიძე, აკაკი ბოჭორიშვილი, შვილიშვილები ნანა, ლევან, ირაკლი, მარიკა, შვილთაშვილი სალომე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მირიან ნოჩოს ძე აბლოთიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 26, 27 აპრილს.

დაკრძალვა: 28 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 29, ბინა 14.

# სამგლოვიარო განცხადებები

## პროფესორი თამარ (ქუსა) კაჭახიძე



თითქოს გუშინ იყო, როდესაც პირველად მობრძანდა ქ-ნი თამარი ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრაზე, თითქოს გუშინ იყო ის მღელვარება, რომელიც მოიცავდა ახალბედა მასწავლებელს პირველი ლექციის წინ.

შემდეგ კი დახელოვნება, ხარისხი და აღიარება, ყოველდღიური ცხოვრების ციებ-ცხელება... შემდეგ კი შვილი, შვილიშვილები... და ისევ ის ახალგაზრდა გული, როგორც გუშინ...

პროფესორი თამარ კაჭახიძე რამდენიმე ათეული წელი დაუშრეტელი ენერგიით ზრუნავდა ახალგაზრდობის აღზრდისათვის. მისი აღზრდილები და შემდგომ, მისი თანამშრომლები, მოხარული ვართ, რომ წილად გვხვდა ბედნიერება, ქალბატონი თამარის სტუდენტები ვყოფილიყავით. იყო საინტერესო მოსაუბრე, რომლისგანაც მრავალ ახალს ვიგებდით, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ვიძენდით.

წავიდა ჩვენგან თაობების აღმზრდელი, ავკარგიანი, მოსიყვარულე, თანამდგომი, სანიმუშო დედა და ბებია.

უფალმა აამაღლოს ზეციურ სამუდამო სასუფეველში სამაგალითო ქალბატონისა და დამსახურებული პედაგოგის ნათელი სული!

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6567 |
| ევრო | 2,1676 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2660 |

## ამინდის პროგნოზი 26 აპრილისთვის




## 25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




**უკვე გამოსულია:**

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

## 29 აპრილიდან

## „ახალ თაობასთან“ ერთად ახალი სერია

## ქართული ფენომენი

ტომი I

## თეკლა ბატონიშვილი




ახალი სერიის, „ქართული ფენომენის“ პირველი ისტორიული პერსონაჟი თეკლა ბატონიშვილია – უმცროსი და უსაყვარლესი ასული ერეკლე მეორისა. ქალი, რომლის ოჯახის დრამამ აირეკლა საქართველოს სამეფოს გაუქმების დროინდელი ყველა კონფლიქტი.

მისდამი მიძღვნილი წიგნი ეკუთვნის ისტორიკოსს, რომელმაც მთელი ცხოვრება XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას შეალია.

პროფესორ იოსებ უთურაშვილის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოკვლევასთან დაწყვილებულია თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟის – XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამორჩეული მოღვაწისა და მწერლის – ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები, რომლებმაც გაამდიდრა პროფესიონალი ისტორიკოსის მონათხრობი.

## ასტროპროგნოზი 26 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ტყუპები** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** – თავს უკეთ გრძნობთ, ჯანსაღდებით. **ქალწული** – რთულ სიტუაციაში თავის დაცვას შეძლებთ. **სასწორი** – პრობლემას ადვილად გადაჭრით, რაშიც მეგობრები დაგეხმარებიან. **მორიელი** – იაქტიურეთ და ფული გექნებათ. **მშვილდოსანი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **თხის რქა** – თქვენი საქმე კარგად მიდის, კმაყოფილი ხართ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აწესრიგებთ. **თევზები** – დრო არ გაფლანგოთ, ის ხომ ფულია!

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად;** 1. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. რაიმე სხეულში არსებული ელექტროობის რაოდენობა; 5. იაპონური ფინანსური სამრეწველო კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა; 14. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 16. პატარა იტალიური რესტორანი; 18. ფრანგი კინორეჟისორი; 20. სასვენი ნიშანი გრამატიკაში.

**თარაზულად;** 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. სოფლის პოლიციელი ძველად; 9. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი; 22. კიდული რკინიგზა; 23. ობიექტურად არსებული სინამდვილე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## რეზო ჭეიშვილი 80 წლისაა



ქართველი მწერალი რეზო ჭეიშვილი 80 წლისაა. მნიშვნელოვანი იუბილე მას ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც მიულოცა. ამჯერად საქართველოს პრეზიდენტი სოციალური ქსელით „ფეისბუქი“ შემოიფარგლა და მწერალს დაბადების დღე თავის ოფიციალურ გვერდზე სპეციალური მიმართვით მიულოცა:

„სრულიად საქართველოსა და პირადად ჩემი სახელით მინდა გულითადად მივულოცო დაბადებიდან 80 წლის იუბილე ბატონ რეზო ჭეიშვილს.

ბატონი რეზო ნახევარ საუკუნეზე მეტია დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით ემსახურება ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას. ის გამორჩეულად უყვარს ქართველ ხალხს და მის შემოქმედებას თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ, ეს კი უდიდესი მიღწევა და საყოველთაო აღიარებაა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ მას ამ შესანიშნავ დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და სიმტკიცეს.“

რეზო ჭეიშვილი საქართველოს პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენითაც დააჯილდოვა. ამ ჯილდოს მწერლისთვის გადაცემის პატივი აწ უკვე ყოფილ კულტურის მინისტრს ნიკოლოზ რურუას ერგო. კულტურის სამინისტროში დაბადებული მწერლისთვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა, როდესაც იგი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – ბრწყინვალების ორდენით დაასაჩუქრეს.

რეზო ჭეიშვილი ქუთაისელია და მთელი თავისი ცხოვრება თავის საყვარელ ქალაქში ცხოვრობს. მისი შემოქმედება ჟანრობრივად ეპიკური და ტრაგიკულ-სატირულია, მიმდინარეობა – რეალიზმი. მისი ნაწარმოებების უმეტესობა ქართველი რეჟისორებისთვის ახალი კინოფილმების შექმნის გარანტად იქცა. მწერალი და დრამატურგი რუსთაველის პრემიის ლაურეატია. მისი პირველი მოთხრობები ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოქვეყნდა უნივერსიტეტის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## „ქართული სული“ პატრიარქს ეძღვნება

რიგით მეათე ხელოვნების ფესტივალი „ქართული სული“ 28 აპრილს საზეიმო ვითარებაში გაიხსნება. ფესტივალი სტარტს ამჯერად ფშავიდან აიღებს. ტრადიციული ფესტივალი „ქართული სული 2013“ წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთათვარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 30 წლისთავს ეძღვნება.



როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, „ქართული სულის“ ფარგლებში 28 აპრილიდან 5 ივნისის ჩათვლით 4 ღონისძიებაა დაგეგმილი და ისინი ჩატარდება როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში.

– ფესტივალის ეგიდით თავდაპირველად საღამოები ჩარგალსა და ახალციხეში გაიმართება, შემდეგ კი თბილისში გადმოინაცვლებს. ღონისძიება 28 აპრილს ჩარგალში ეთნოკულტურული წარმოდგენით გაიხსნება. ღონისძიებას ეწოდება „ლექსო ნუ დაიკარგები“ და მასში ქართველი მეცნიერები, პოეტები, მომღერლები და მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. ხელოვანთა ერთობლივი სანახაობა ღია ცის ქვეშ გაიმართება. ფესტივალის პირველ საღამოს თამაზ ტყემალაძე გაუძღვება და მასში მონაწილეობას მიიღებენ „ქართული ხმები“, ტრიო „სიმი“, დები გოგოჭურები და დები ნაყეურები. ფესტივალი ყოველწლიურია, ამიტომ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## სოკარი ოლიმპიური კომიტეტის პარტნიორია

კომპანია „სოკარი“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია. მემორანდუმს ხელი ჩვენს ქვეყანაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის წარმომადგენლობის დირექტორმა მაირ მამედოვმა და სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა მოაწერეს.

მაირ მამედოვი:

– ჩვენი კომპანია ქართული სპორტის დიდი გულშემატკივარია. რამდენიმე ეროვნულ ფედერაციასთან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ და სასიამოვნოა, რომ დღეიდან მოკრძალებულ წვლილს, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაშიც შევიტანთ. სეოკ-ის ოფიციალური პარტნიორობა ჩვენთვის დიდი პატივია.




ლერი ხაბელოვი:

– კომპანია „სოკარის“ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ვიცით, რომ იგი დიდი ხანია სხვადასხვა ფორმით და დოზით ქართული სპორტის სამსახურშია. სეოკ-ი სამომავლოდ ბევრი კარგი პროექტის განხორციელებას აპირებს და მოხარული ვარ, რომ „სოკარი“ ჩვენ გვერდით იქნება.

ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ამ ეტაპზე ერთწლიანია დაფინანსდება სხვადასხვა სახის ოლიმპიური პროგრამები და პროექტები, მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდით ჩასატარებელ სპორტულ ღონისძიებებში, სეოკ-ის მიერ ორგანიზებული საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობა და ა.შ.

ღონისძიებას სეოკ-ის ხელმძღვანელობის გარდა ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, ოლიმპიური ჩემპიონები რომან რურუა, რობერტ შავლაყაძე, შოთა ხაბარელი და კახი კახიაშვილი

მ. ქ.

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი